აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 541 949,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 542 562,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,1 პროცენტია.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 501 533,7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 505 363,7 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები წილობრივად



1. **გადასახადები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 95,6 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 480 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 482 889,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100,6 პროცენტი.

2. **გრანტები**

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის გრანტების გეგმა განისაზღვრა 288,7 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 276,9 ათასი ლარი ანუ გეგმის 95,9 პროცენტი. 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ ფარგლებში დაფინანსება ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია „გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF“-ის მიერ, საგრანტო ხელშეკრულების თანახმად.

3. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2023 წლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 21 245,0 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 22 196,9 ათასი ლარი ანუ გეგმის 104,5 პროცენტი.

სხვა შემოსავლების საანგარიშო პერიოდის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე: პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 11 992,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 915,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99,4 პროცენტი; დივიდენდებიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1 700,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 772,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 104,3 პროცენტი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 1 238,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 367,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 110,4 პროცენტი (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 703,6 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 808,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 114,9 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 10,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 10,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 109,0 პროცენტი; ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 5 600,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 322,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 112,9 პროცენტი.



არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 40 415,7 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 37 199,1 ათას ლარს, ანუ გეგმის 92,0 პროცენტი. საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 689,1 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 33 510,0 ათასი ლარი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა 572 651,4 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 532 278,8 ათას ლარს, რაც გეგმის 92,9 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 7 125,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 7 002,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,3 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 1 606,2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 1 575,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა 5 456,7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 4 536,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 83,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 114 113,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 92 375,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 80,9 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 115 208,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 108 099,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93,8 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა

54 980,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 54 524,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 99,2 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2023 წლის გამოყოფილმა ასიგნებებმა 28 741,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 28 232,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 98,2 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფას, ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივ განსაზღვრას და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობას, 2023 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 245 419,4 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 235 931,9 ათას ლარს, რაც გეგმის 96,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2023 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 11 449,9 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 11 ბრძანებით გამოეყო 43,0 ათასი ლარი განათლებისა და კულტურის სფეროში მოღვაწეების ღვაწლის დაფასების მიზნით და ტრაგიკულად დაღუპული მოსწავლეების ოჯახებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 811 ბრძანებით გამოეყო 6 730,5 ათასი ლარი სამედიცინო, მატერიალური და სხვადასხვა მომსახურების/დახმარების გაწევის მიზნით.

ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 5 ბრძანებით გამოეყო 4 676,4 ათასი ლარი ხანძრისა და სტიქიისა შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების გეგმამ შეადგინა 124 325,6 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 119 876,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,4 პროცენტია.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 89 700,8 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 86 697,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 96,7 პროცენტია.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 9 046,2 ათასი ლარით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 2 722,3 ათასი ლარით, შპს „გოდერძი რესორტის“ დაფინანსება 928,6 ათასი ლარით და სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება 7 596,8 ათასი ლარით.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 147,9 ათასი ლარის ოდენობით და კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 711,5 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 8 155,6 ათასი ლარი.

საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში

საანგარიშო პერიოდში გადახდილია ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრობის, ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ხელშეწყობის ასოციაციის და პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირისა და შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის საწევრო გადასახადები 21,7 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში გაცემული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლები 6,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა 21,6 ათასი ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი იქნა 4 194,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2023 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე 5 შემდეგ პროგრამას: რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა და მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა 2023 წლის გეგმა შეადგენს 153,8 ათასი ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 144,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-განელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 30,0 ათასი ლარი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 100,3 ათასი ლარი;
3. განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების ელექტრო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 1,7 ათასი ლარი.
4. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა აუდიტორული მომსახურების შეძენა. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 12,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,2 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2023 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 295,7 ათას ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 295,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „საინვესტიციო ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის მიზნით განხორციელდა 13 ღონისძიება:

2023 წლის 2-7 მარტს სამინისტროს დელეგაცია იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვროცლავში, International Tourism and Leisure Fair-ტურიზმისა და დასვენების სართაშორისო გამოფენაზე - Bieg Piastow 46-ე საზეიმო გახსნაში მონაწილეობის მიღების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 5,6 ათასი ლარი.

2023 წლის 6-10 მარტს სამინისტროს დელეგაცია იმყოფებოდა გერმანიაში, ქალაქ ბერლინში ITB ბერლინის გახსნის ცერემონიასა და გამოფენაზე დასწრების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 4,9 ათასი ლარი.

2023 წლის 28 თებერვალს სამინისტროსა და კომპანია WORLD PRIX SDN BHD-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ბათუმის სტადიონი წარდგენილი იყო მსოფლიო დაჯილდოებაზე FIABCI World Prix d'Excellence Awards, რომელიც 2023 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ მაიამიში ივნისის თვეში გაიმართა, და ბათუმის სტადიონს მიენიჭა უძრავი ქონების ოსკარის ტიტული. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაში მონაწილეობის საკასო ხარჯმა შეადგინა 29,9 ათასი ლარი.

2023 წლის 4 მაისს ქ. ბათუმში სასტუმრო ჰილტონში გაიმართა შეხვედრა გაეროს მუდმივი წარმომადგენლობის დელეგაციასა და აჭარის მთავრობას შორის. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 1,8 ათასი ლარი.

2023 წლის 19-21 მაისს ქალაქ ბათუმში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა EBIT ბათუმი 2023, სადაც წარმოდგენილი იქნა კურორტი გოდერძის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობები. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაში მონაწილეობის საკასო ხარჯმა შეადგინა 1,2 ათასი ლარი.

2023 წლის 27-28 მაისს, ბათუმში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პარტნიორობით გაიმართა სტარტაპ სამიტი და სტარტაპების მსოფლიო თასის ეროვნული შეჯიბრის ღონისძიება. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაში მონაწილეობის საკასო ხარჯმა შეადგინა 7,8 ათასი ლარი.

2023 წლის 16 ივნისს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლები მიწვეულნი იყვნენ პოლონეთის რესპუბლიკის, პომერანიის სავოევოდოს საინვესტიციო სააგენტოში. ასევე 19-20 ივნისს პომერანიის სავოევოდოს, ქალაქ სოპოტში გაიმართა პოლონეთის რესპუბლიკის უძრავი ქონების და საინვესტიციო შესაძლებლობების ფორუმი. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაში მონაწილეობის საკასო ხარჯმა შეადგინა 22,1 ათასი ლარი.

2023 წლის 2 ივლისს ბათუმში უძრავი ქონების სფეროში წლის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება გაიმართა. FIABCI უძრავი ქონების და ტურიზმის ფორუმი - "Batumi Real Estate 2023". საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 12,6 ათასი ლარი.

2023 წლის 8 სექტემბერს სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-12 საერთაშორისო გამოფენა "BATUMI BUILD 2023" გაიმართა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 1,2 ათასი ლარი.

2023 წლის 28-29 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, ქალაქ ბათუმში გაიმართა World Travel Awards-ის ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონია და ბათუმის საერთაშორისო ტურიზმის ფორუმი BITF. ღონისძიებაში თანამონაწილეობის ხარჯმა შეადგინა 49,1 ათასი ლარი.

2023 წლის ოქტომბრის თვეში სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში უძრავის ქონების საერთაშორისო გამოფენაში. ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯმა შეადგინა 11, 3 ათასი ლარი.

2023 წლის ნოემბრის თვეში სამინისტროს თანამშრომლები მონაწილებდნენ საერთაშორისო გამოფენაში SMART CITY EXPO WORLD CONGRESS, რომელიც გაიმართა ქალაქ ბარსელონაში, ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯმა შეადგინა 16,1 ათასი ლარი.

2023 წლის 10 დეკემბერს ბათუმში გაიმართა საინვესტიციო ფორუმი “Startup Investment Forum” რომელსაც 200 ზე მეტი სტუმარი დაესწრო. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 10,0 ათასი ლარი.

2023 წლის ივლისის თვეში დაქირავებულმა ფოტოგრაფმა მოახდინა აჭარის რეგიონის საინვესტიციო პროექტების, ინფრასტრუქტურული პროექტების, მაღალმთიანი აჭარის, ბათუმის ღირსშესანიშნაობების ფოტოგრაფირება, რომელიც გამოყენებული იქნება საინვესტიციო საპრომოუშენო მასალების განახლებისთვის და სოციალურ მედიაში რეკლამირებისთვის. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 3,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „აჭარის რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ვიდეო რგოლის შექმნა“ დამზადდა საინვესტიციო ვიდეო რგოლი აჭარის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. ვიდეო რგოლის დამზადების ხარჯმა შეადგინა 118,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2023 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 156,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 155,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს კურორტ გოდერძის ბუფერული ზონის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შედგენა. დასრულებულია გეგმარებითი ერთეულის გარემოსდაცვით დოკუმენტის ძირითად ნაწილზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკუთრებების ანალიზი. წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიზნების

მისაღწევად შემუშავდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა/ჩანაცვლებისა და განვითარების ქალაქმშენებლობითი ფორმულა. ჩატარდა კურორტ გოდერძის ბუფერული ზონის გარემოს დაბინძურების ლაბორატორიული კვლევა (ნიადაგი, ჰაერი,წყალი, ხმაური, ვიბრაცია).

ასევე შემუშავებულია შუახევის მუნიციპალიტეტში ჩირუხის მთის ტერიტორიის განაშენიანების გეგმის კონცეფციის პროექტი, რომლის ადგილზე იდენტიფიცირება განხორციელდა 2023 წლის მაისი-სექტემბერში, განაშენიანების საკითხების ადგილზე დაკონკრეტების მიზნით. დასრულებულია გეგმარებითი ერთეულის გარემოსდაცვით დოკუმენტის ძირითად ნაწილზე მუშაობა.

დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობს სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 145,9 ათასი ლარით, ხოლო ლაბორატორიული კვლევის ხარჯმა შეადგინა 9,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება 2023 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 644,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 493,9 ათას ლარს.

ღონისძიების ფარგლებში „კურორტ ბეშუმისა და მიმდებარე ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება“ მომზადდა დასაგეგმარებელი არეალის გენერალური გეგმა, კერძოდ: კურორტ ბეშუმის, შქერნალის უბნისა და გოდერძის უღელტეხილის განაშენიანების დეტალური გეგმები, სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შემუშავდა კურორტ ბეშუმის სანიტარული დაცვის ზონის პროექტი. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 423,9 ათასი ლარით.

ღონისძიების ფარგლებში „გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტრის განვითარება“ შემსრულებელმა კომპანიამ შპს ,,დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-მა დაამუშავა და სამინისტროს შეათანხმა გომარდულის სარეკრეაციო ტერიტორიაზე კონკრეტული არეალის სამთო-სპორტულ-ტურისტული იფრასტრუქტურისა და საბაგირო გზის წინასაპროექტო კონცეფცია (წელიწადის ოთხი დრო) და განისაზღვრა საბაგირო გზის დასხდომის სადგურების ნიშნულები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 35,0 ათასი ლარით.

ღონისძიების ფარგლებში „ზანკები-გოდერძის გადასასვლელის და ჭანჭახის უღელტეხილი-ბეშუმის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება“ შემსრულებელმა კომპანიამ შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული

სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკ“-მა დაამუშავა და სამინისტროს შეათანხმა ზანკები-გოდერძის (მეტეო) გადასასვლელის დამაკავშირებელი და ჭანჭახის უღელტეხილი - ბეშუმის არეალის დამაკავშირებელი სპორტულ-ტურისტული სასრიალო ტრასებისა და საბაგირო გზების სადგურების შერწყმის და საბაგირო გზების დასხდომის სადგურების ნიშნულები. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 35,0 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის სამშენებლო სამუშაოების, სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე (ს/კ 23.14.36.697) თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გამოცხადებული ტენდერი არ შედგა (NAT230014226). საანგარიშო პერიოდში გადაფასდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და 2023 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა ახალი ტენდერი (NAT230025873).

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,7 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2023 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 690,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 908,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის მეორე რიგის სამშენებლო სამუშაოების დასრულება და მესამე რიგის საპროექტო სამშენებლო სამუშაოების დაწყება“ ფარგლებში დაფინანსდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში საზოგადოებრივი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და ტექნიკური ზედამხედველობა თანხით 43,4 ათასი ლარით.

ღონისძიების ფარგლებში „ხულოს მუნიციპალიტეტში მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგებისათვის ძირითადი ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა“ დაფინანსდა მწვანე ტბის სარეკრეაციო ადგილის, მიმდებარე სეზონური დასახლებებისა და ალპური ბოტანიკური ბაღის ელექტრომომარაგების ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. ასევე დასრულებულია აღნიშნული მიმართულების მეორე ეტაპის ელექტრომამარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მუშაობა. მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები არ დაწყებულა არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო. პროექტის მშენებლობა დასრულდება მომდენევნო წელს. სამშენებლო სამუშაოები და ტექნიკური ზედამხედველობა დაფინანსდა 864,8 ათასი ლარით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარე მიწის

ნაკვეთზე, საზოგადოებრივი მრავალფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოების მიზნით, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება, რის გამოც მიმწოდებელ კომპანიასთან შეწყდა ხელშეკრულება.

შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობაში „ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდი“-ს მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისათის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (NAT230012804). მიმდინარეობს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაანგარიშება, რომლის დასრულების შემდგომ განახლდება აღნიშნული ობიექტის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზება 2024 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 53,7 %

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის 2023 წლის დაზუსტეებული გეგმა შეადგენს 8 822,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 7 880,5 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.09.876) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობის ეტაპი გადასულია დასრულების ფაზაში.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმის გამო, რომ მიმწოდებელმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რის გამოც მიმწოდებელი ჯარიმდება.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 89,3 %

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის 2023 წლის გეგმა შეადგენს 100,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან დაგეგმილი იყო კომერციული ბანკების მიერ არაუმეტეს 147 სუბიექტზე გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 12%-ის ანაზღაურება. კომერციული ბანკების მხრიდან არ მომხდარა აღნიშნულ სუბიექტებზე სესხების გაცემა. შესაბამისად, არ იყო მომართვიანობა პროგრამაში ჩართვის თაობაზე, რის გამოც პროგრამის ფარგლებში საკასო ხარჯი არ გაწეულა.

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 720,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 178,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობას. 2023 წლის მდგომარეობით შპს „ენერჯი ინვესტი 2009“-მ შეასრულა დაბა ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე გაზსადენის (2 562 გრძ/მ) სამონტაჟო სამუშაოები.

გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით, რაც გამოწვეულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, ვინაიდან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები. მოკლე მონაკვეთებზე ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე კონტრაქტორის მიერ ანაზღაურება არ მოთხოვნილა. სამშენებლო სამუშაოების დასრულება იგეგმება 2024 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 68,5 %

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 11 386,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 8 576,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვასა და მიმდინარე ხარჯებზე გაწეულია 5 762,1 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათებისა და მუსიკალური შადრევნებისათვის ელექტრო ენერგიის ხარჯს, ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების, სანიტარული მომსახურების და ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების საკასო ხარჯმა შეადგინა 2 814,1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების ფარგლებში „ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია“ განხორციელდა საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 329,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ძველ ბულვარში არსებული ფრენბურთისა და ფეხბურთის სპორტული მოედნის კაპიტალური რემონტი“ განხორციელდა სპორტული

მოედნის სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპის დასრულება და მიღება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 72,1 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის კოლონადების რეაბილიტაცია“ განხორციელდა კოლონადების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 164,3 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის სანაპიროსთვის საშხაპეების შეძენა მონტაჟი“ განხორციელდა 15 ერთეული საშხაპის შეძენა მონტაჟი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 82,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სასმელი წყლის შადრევნის შეძენა“ განხორციელდა 10 ერთეული სასმელი წყლის შადრევნის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 45,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში შადრევნების მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული ფილების გამოცვლა“ განხორციელდა დაზიანებული ფილების გამოცვლა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 419,9 ათასი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობა“ სამუშაოებზე საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 331,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ინფრასტრუქტურული პროექტების ტექ. ზედამხედველობის მომსახურება“ მიმდინარეობს ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობის ტექ. ზედამხედველობის მომსახურება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 6,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაცია“ მიმდინარეობს ორი სავარჯიშო მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 99,1 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში კოლონადების მიმდებარედ სკვერის მოწყობა“ მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 96,9 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის ტერიტორიაზე ქანდაკებების დადგმა/რეაბილიტაცია“ განხორციელდა ბულვარში არსებული ქანდაკება „12 მუსიკოსის“ და „გოგონა ველოსიპედით“ რესტავრაცია, ასევე ქანდაკების „სიყვარული მძიმეა“ დადგმა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 91,2 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ელექტრო ავტომობილების შეძენა“ შეძენილი იქნა 2 ერთეული ელექტრო ავტომობილი, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 109,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სათიბი ტრაქტორის შეძენა“ შეძენილი იქნა 2 ერთეული ბალახის სათიბი ტრაქტორი, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 43,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ განხორციელდა ბულვარის ტერიტორიაზე სანაპირო ზოლში განსათავსებელი კვების ობიექტების (პლაჟის საზაფხულო კაფეები), ბათუმის ბულვარის კოლონადების, ქანდაკებების, სკვერების და სავარჯიშო მოედნების და ველობილიკის რეაბილიტაციის

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 285,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნებისათვის სათადარიგო ნაწილების შეძენა“ განხორციელდა სათადარიგო ნაწილების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 116,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ცენტრალური შადრევნის მუსიკალური პროგრამის განახლება“ განხორციელდა მუსიკალური პროგრამის განახლება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 45,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ცენტრალური შადრევნის აუდიო სისტემის განახლება“ განხორციელდა აუდიო სისტემის განახლება, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 149,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბულვარის ტერიტორიაზე არსებულ ელ. განათების წერტებზე დამიწების კონტურების გაზომვა/აღდგენის სამუშაოები“ დასრულდა დამიწების კონტურების აღდგენის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 86,1 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „სხვადასხვა სახის მრავალწლიანი ხე მცენარეების შეძენა“ განხორციელდა მრავალწლიანი ხე მცენარეების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 74,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში, კოლონადების მიმდებარედ სკვერის გამწვანებისათვის მრავალწლიანი ხე-მცენარების შეძენა“ განხორციელდა ხე მცენარეების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 11,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „საახალწლო განათებების შეძენა“ განხორციელდა საახალწლო განათებების შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 132,6 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ტექ. ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა“ განხორციელდა ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 10,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „2019-2022 წლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაკავებული საგარანტიო თანხა“ განხორციელდა ბულვარში არსებული გედების ტბის სარემონტო სამუშაოებზე და ბათუმის ახალ ბულვარში არსებული დეკორატიული არხებისა და შადრევნების კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებზე დაკავებული საგარანტიო თანხის გადახდა, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 11,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია დაგეგმილზე ნაკლები კომუნალური ხარჯებით, ელექტრონული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებით და ასევე შემდეგი ფაქტორებით, კერძოდ:

1. ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობა“ სკეიტპარკის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერი (NAT230013593) საშუალებით, რომლის საფუძველზეც 2023

წლის 04 აგვისტოს გაფორმდა N2/48 ორწლიანი (2023-2024 წწ.) ხელშეკრულება ღირებულებით 3 165,1 ათასი ლარი.

სკეიტპარკის მოწყობის სამუშაოების წარმოების პროცესი მოიცავდა მსოფლიო სკეიტპარკის ფედერაციასთან (World Skate) არსებული საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებას. შეთანხმების პროცედურების წლის ბოლომდე გახანგრძლივების გამო შეფერხდა სკეიტპარკის სამშენებლო სამუშოების წარმოება და 2023 წელს განსახორციელებელ სამუშაოებზე გათვალისწინებული 2 000,0 ათასი ლარიდან, შესრულებული სამუშაოების პროპორციულად ათვისებული იქნა 331,6 ათასი ლარი და მოცდენილი ვადის გათვალისწინებით მოხდა 2024 წელს შესასრულებელი სამუშაოების გახანგძლივება 3 თვით. ამასთან, დარჩენილი სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდება სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ასიგნებების ფარგლებში.

2. ღონისძიების ფარგლებში „ინფრასტრუქტურული პროექტების ტექ. ზედამხედველობის მომსახურება“, ბათუმის ბულვარში სკეიტპარკის მოწყობის სამუშაოს (2023-2024 წლები) ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის (NAT230015782) საშუალებით, რომლის საფუძველზეც 2023 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა N2/51 ორწლიანი (2023-2024 წწ.) ხელშეკრულება ღირებულებით 58,9 ათასი ლარი, სკეიტპარკის მოწყობაზე შესრულებული სამუშაოების პროპორციულად ათვისებული იქნა 6,5 ათასი ლარი. შესაბამისად დარჩენილი მომსახურების ღირებულების გადახდა განხორციელდება სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ასიგნებების ფარგლებში.

3. ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სავარჯიშო მოედნების რეაბილიტაცია“ გამოცხადებული ორი სავარჯიშო მოედნის რეაბილიტაციაზე სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა ელექტრონული ტენდერის (NAT230020528) საშუალებით, რომლის საფუძველზეც 2023 წლის 14 ნოემბერს გაფორმდა N2/69 ხელშეკრულება ღირებულებით 437,1 ათასი ლარი. შემჭიდროებული ვადებისა და წვიმიანი ამინდების გამო შეფერხდა მოედნის მოწყობის სამუშაოები და 2023 წელს ათვისებული იქნა მხოლოდ 99,1 ათასი ლარი. ამასთან, სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება და სამუშაოების დასრულების მიზნით კონტრაქტორთან ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 31 მარტის ჩათვლით. შესაბამისად დარჩენილი სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდება სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ასიგნებების ფარგლებში.

4. ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში კოლონადების მიმდებარედ სკვერის მოწყობა“ სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა ელ. ტენდერის საშუალებით (ტენდერის ნომერი - NAT230017943), რომლის საფუძველზეც 2023 წლის 6 ოქტომბრს გაფორმდა N2/64 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 124,0 ათასი ლარი. შემჭიდროებული ვადების და წვიმიანი ამინდების გამო შეფერხდა სამუშაოები და მომწოდებლის მიერ სკვერის მოწყობის შუალედური სამუშაოების მიღება განხორციელდა 2023 წლის 27 დეკემბერს ღირებულებით ჯამში 96,9 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დაფინანსებული იქნა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2023 წლის ბიუჯეტით. ამასთან,

სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება და სამუშაოების დასრულების მიზნით კონტრაქტორთან ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2024 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად დარჩენილი სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდება სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ასიგნებების ფარგლებში.

5. ღონისძიება ფარგლებში „ქსელური ინფრასტრუქტურის (სერვერის) მოდერნიზაცია და გაძლიერება“ ღირებულებით 16,1 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვაზე 2023 წლის 9 ნოემბერს გამოცხადებული ელ. ტენდერი (NAT230022447) 2023 წლის 17 ნოემბერს არ შედგა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 75,3 %

ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორი ახორციელებს ორ პროგრამას - დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის ადმინისტრაციულ ხარჯებს და მეორე პროგრამას „ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის“.

პროგრამის - „ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 250,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 249,7 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა „მყარი ნარჩენების მართვის სექტორის განვითარების ხელშეწყობა“ საგრანტო პროექტი. კერძოდ,ბათუმის ბიზნეს ინკუბატორმა ტენდერის საშუალებით შეიძინა კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარისთვის გადასაცემად გადამამუშავებელი საწარმოო ხაზის დანადგარები.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2023 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ქვეპროგრამა - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 170,5 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 166,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა, 2022 წლის მრავალწლიანი ხელშკრულების ფარგლებში ააიპ „ევროპული საგანმანათლებლო ცენტრ“-მა უზრუნველყო კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპის მოწოდება, ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2022 წლის კვლევა დასრულდა.

2023 წელს გამოცხადებული ტენდერის შედეგების თანახმად 2023 წლის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევას აწარმოებს შპს „ბი-სი-ჯი კვლევა“. დასრულდა კვლევის პირველი ეტაპი, მიმდინარეობს კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპები.

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის ფარგლებში ასევე მიმდინარეობს ტურისტთა განთავსების ობიექტების არარეგისტრირებული სექტორის კვლევა. აღნიშნული ბაზრის საკვლევად ხორციელდება Airbnb, Booking.com, Vrbo და TripAdvisor საიტებზე რეგისტრირებული განთავსების ობიექტების სტატისტიკური მონაცემების შესყიდვა. დასრულდა კვლევის ორივე ეტაპი, მომწოდებელმა უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება.

უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა: ღონისძიების ფარგლებში 2023 წლის კვლევას აწარმოებს ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია“. კვლევის პირველი, მეორე და მესამე ეტაპები დასრულდა. კომპანიამ დროულად უზრუნველყო შესაბამისი მასალების მოწოდება, მიმდინარეობს კვლევის მეოთხე ეტაპი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,7 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 553,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5 938,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დეპარტამენტმა განახორციელა სარეკლამო საინფორმაციო ტურები, რომლის ფარგლებში აჭარის რეგიონს სტუმრობდნენ მედიის წარმომადგენლები და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. შედეგად მომზადდა 36 ონლაინ სტატია, 50 რილზი, 200 სთორი, 20 პოსტი და 2 სიუჟეტი.

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში. აჭარის რეგიონი და რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ პლატფორმაზე. კერძოდ:

1. ესპანეთი, მადრიდი - „FITUR“;

2. ფინეთი ჰელსინკი - „MATKA EXPO“;

3. ლიეტუვა, ვილნიუსი - „ADVENTURE“;

4. ლატვია, რიგა - „BALTTOUR“;

5. ესტონეთი, ტალინი - „TOUREST“;

6. იტალია, მილანი - „BIT 2023“;

7. ისრაელი, თელ-ავივი - „IMTM“;

8. დანია, ჰერნინგი - „Danish Travel Show“;

9. უნგრეთი, ბუდაპეშტი - „Travel“;

10. პოლონეთი, ვროცლავი - „MTT WROCLAW“;

11. გერმანია, ბერლინი - „ITB“;

12. ავსტრია, ვენა - „Ferien Messe Wien“;

13. ჩეხეთი, პრაღა - „HOLIDAY WORLD & REGION WORLD“.

14. ყაზახეთი, ალმათი - „KITF“;

15. თურქეთი, სტამბოლი - „EMIT“;

16. მოლდოვეთი, კიშინიოვი - „MoldExpo“;

17. აზერბაიჯანი, ბაქო - „AITF“;

18. არაბთა გაერთიანებული საამიროები, დუბაი - „ATM“;

19. საქართველო, ბათუმი - „EBIT 2023“;

20. გერმანია, ფრანკფურტი - „IMEX“;

21. საფრანგეთი, პარიზი - „IFTM TOP RESA@;

22. ესპანეთი, ბარსელონა - „IBTM“;

23. პოლონეთი, ვარშავა - „WTS“.

ასევე თელ-ავივის გამოფენის ფარგლებში ჩაატარა სამუშაო შეხვედრა სამიზნე აუდიტორიასთან ბათუმისა და აჭარის მრავალფეროვანი ტურისტული პოტენციალის გაცნობის მიზნით.

ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდა ღონისძიებები „ბათუმის დღეები“ ისრაელში, უნგრეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, შვედეთი, ნორვეგია).

ბათუმის, როგორც სპორტული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციისა და სარეკლამო კამპანიის წარმოების მიზნით, ესპანეთი-საქართველოს რაგბის ევროპის ერთთა თასის მატჩზე, საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეების მაისური დაიბრენდა ბათუმის ლოგოთი. მატჩი ჩატარდა ესპანეთის ქალაქ ტორელავეგაში და მატჩი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა მსოფლიოს სხვასხვა სპორტული ტელევიზიების მიერ.

ასევე საქართველო-რუმინეთის რაგბის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩზე საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეების მაისური დაიბრენდა ბათუმის ლოგოთი, მატჩი ჩატარდა ქალაქ თბილისში.

აგრეთვე საქართველო-პორტუგალიის რაგბის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე, საქართველოს რაგბის ნაკრების მოთამაშეების მაისური დაიბრენდა ბათუმის ლოგოთი. მატჩი ჩატარდა ესპანეთის ქალაქ ბადახოსში.

ჩატარდა ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ სარეკლამო კამპანია, 2 გვერდითი ბანერი განთავსდა საგამოფენო სივრცის, ბერლინ მესსე-ს სამხრეთ შესასვლელში, სამოგზაურო გამოფენა ITB BERLIN 2023-ის ფარგლებში.

ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ ARABIAN TRAVEL MARKET-ის ბეჭდურ გამოცემაში ATM Dubai YEARBOOK განთავსდა ბათუმის ერთგვერდიანი ფოტო რეკლამა, ორგვერდიანი სარედაქციო სტატია და სარეკლამო ვიდეო, რომელიც ჩასვეს ATM Dubai Yearbook-ის ციფრულ გამოცემაში.

ბრიტანულმა ონლაინ გამოცემა INDEPENDENT-მა ბათუმის შესახებ გამოაქვეყნა სტატია.

განხორციელდა სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ DEUTSCHE WELLE-ს გერმანულენოვან არხზე - 30 წამიანი ვიდეო რგოლის 200 ჩვენება, მათ შორის 150 ჩვენება პრაიმთაიმში და 50 ჩვენება დღის განმავლობაში, 15 მაისიდან - 26 ივნისის ჩათვლით.

განხორციელდა სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ BBC-ის არხზე - 30 წამიანი ვიდეო რგოლის 126 ჩვენება და ბათუმის Destination Guide-ის მომზადება და მუდმივი განთავსება www.bbc.com/travel-ზე. კამპანიის პერიოდი: 29 მაისიდან - 18 ივნისის ჩათვლით.

განხორციელდა სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ EURONEWS-ის არხზე - 30 წამიანი ვიდეო რგოლის 75 ჩვენება და 5-წუთიანი სატელევიზიო სიუჟეტის გადაღება და ჩვენება. სიუჯეტი ითარგმნა 10-ზე მეტ ენაზე. კამპანიის პერიოდი: 22 მაისიდან - 15 სექტემბრის ჩათვლით.

ბათუმისა და აჭარის ფოტო და სტატია დაიბეჭდა ავსტრიულ გამოცემაში, ჟურნალის NEWS REGION-ის ერთჯერადი გამოცემის ერთ გვერდზე.

ბათუმის ფოტო დაიბეჭდა KHALEEJ TIMES-ის 24-გვერდიანი ჟურნალის უკანა ყდაზე.

FIABCI-ის უძრავი ქონების მსოფლიო დაჯილდოებისა და კონგრესის ფარგლებში, მომზადდა და გავრცელდა ბათუმის სტადიონის შესახებ 3 სამგვერდიანი ციფრული სტატია.

ბათუმისა და აჭარის შესახებ ციფრული სტატია განთავსდა Elle.be-ს ვებგვერდზე, რომელსაც 3.5 მილიონზე მეტი უნიკალური მკითხველი ჰყავს თვის განმავლობაში.

დაიდო ხელშეკრულება ავიაკომპანია WIZZAIR-თან, რომლის საბორტო ჟურნალის ივნისი-ივლისისა და აგვისტო-სექტემბრის გამოცემებში ბათუმისა და აჭარის რეკლამას დაეთმო 3 გვერდი.

ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ სარეკლამო სტატია განთავსდა ავიაკომპანია AIR BALTIC-ის საბორტო ჟურნალის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს გამოცემებში. აჭარის რეგიონში ფრინველებზე დაკვირვების ტურისტული პროდუქტის პოტენციალის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო სტატია განთავსდა ჟურნალ „BIRDWATCH“-ის 2023 წლის ივლისის და აგვისტოს თვის ნომრებში ორ გვერდზე. პოპულარულმა სამოგზაურო პლატფორმამ EARTHPIX-მა, რომელსაც ჰყავს 24,6 მილიონი გამომწერი, იმოგზაურა აჭარის რეგიონში მარკეტინგული კონტენტის შექმნის მიზნით და მოახდინა სოციალური ქსელების პლატფორმებზე აჭარის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში - ამ დროის მდგომარეობით ბათუმისა და აჭარის სარეკლამო კამპანიამ - ვიდეობმა EARTHPIX-ზე დააგროვა 50 მილიონზე მეტი ნახვა.

ბათუმში ჩატარდა ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი (BITF) თემაზე „მდგრადი ტურიზმის განვითარება, მარკეტინგი და ციფრული ტრანსფორმაცია“ ქართველი და უცხოელი სპიკერების ჩართულობით; ფორუმს დაესწრო 200-ზე მეტი ქართველი და უცხოეული დელეგატი.

ბათუმში წარმატებით ჩატარდა მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების WORLD TRAVEL AWARDS-ის საიუბილეო, 30-ე ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონია, რომელსაც დაესწრო 500-მდე ქართველი და უცხოელი სტუმარი. გალა ცერემონიალში მონაწილეობდა 300-მდე უცხოელი სტუმარი 24 ქვეყნის სხვადასხვა სექტორიდან: სასტუმროები, ტურისტული სააგენტოები, ავიაკომპანიები, აეროპორტები, გაქირავების კომპანიები, ტურისტული ატრაქციები, კურორტები, ივენთ კომპანიები, საკონფერენციო დარბაზები, ტურიზმის საბჭოები, სტადიონები და ა.შ. World Travel Awards-ის (https://www.worldtravelawards.com/) ბრენდი გლობალურად არის აღიარებული, როგორც ინდუსტრიის სრულყოფილების უმაღლესი ნიშანი. World Travel Award-ის ყოველწლიური გალა ცერემონიები ითვლება ყველაზე პრესტიჟულ წითელი ხალიჩის ღონისძიებებად მასპინძლობის ინდუსტრიის ივენთ კალენდარში. წლის განმავლობაში 6 კონტინენტზე ტარდება რეგიონალური დაჯილდოების ღონისძიებები, ხოლო წლის ბოლოს იმართება შემაჯამებელი, მსოფლიოს დიდი ფინალური ღონისძიება. თითოეულ ცერემონიაზე ხდება 150-ზე მეტ ნომინაციაში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ხმის მიცემის პროცესში ერთვება მთელი მსოფლიო, მათ შორის 2 მილიონზე მეტი მასპინძლობისა და მედია ინდუსტრიის წარმომადგენელი.

ასევე მიმდინარეობს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ონლაინ რეკლამირება სოციალურ მედია პლატფორმა ფეისბუქსა და ისტაგრამზე შემდეგ ქვეყნებში - ლატვია, ლიეტუვა, ესტონეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,6 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 870,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 758,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 6 სარეკლამო-საინფორმაციო ტური, რომლის ფარგლებში ბათუმსა და მაღალმთიან აჭარას სტუმრობდა 100-მდე მედიის წარმომადგენლი. მომზადდა 30-მდე სიუჟეტი და სტატია რეგიონის ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ. მათ შორის სიუჟეტი გავიდა ტელეკომპანია იმედის გადაცემებში „იმედის კვირა“, „ქრონიკა“, „იმედის დღე“, „იმედის დილა“, ასევე რუსთავი 2-ის გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველო“-ოს, აჭარის ტელევიზიის გადაცემა „დილის ტალღა“-ს, რუსთავი ორი „ბიზნესი რუსთავზე,“ „სხვა შუადღე“ და პირველი არხი „ახალი დღე“, ბიზნეს პარტნიორი“ ეთერებში.

რეგიონის სამთო და საზღვაო, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და ადგილების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა კრეატიული სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში“, რომლის ფარგლებშიც, მონაწილე ბლოგერინფლუენსერების მიერ აჭარის შესახებ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულმა კონტენტმა 100 მილიონ წვდომას (reach) მიაღწია. კამპანიაში 50-მდე მონაწილე დარეგისტრირდა, თუმცა მათ შორის ყველაზე კარგი შედეგები იმ ცნობილმა ბლოგერ-ინფლუენსერებმა აჩვენეს, რომლებიც აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებსა და რეკომენდაციებს აქტიურად უზიარებდნენ ასიათასობით გამომწერს.

აჭარაში ტურიზმის განვითარების, ახალი ტურისტული მიმართულებებისა და პროდუქტების შესახებ გამოქვეყნდა 70-მდე სარეკლამო სტატია/ნიუსი „ახალი ამბები“-ს სააგენტოს 4 პოპულარულ ვებგვერდზე AMBEBI.GE, BPN.GE, KVIRISPALITRA.GE და INTERPRESNEWS.GE, ასევე ვებ გვერდებზე „მარკეტერი“, „on.ge “ და „ბათუმელები“.

მომზადდა აუდიორგოლები და გაეშვა რადიოებზე: ფორტუნა, ფორტუნა პლუს, არ დაიდარდო და ავტორადიო, ასევე მიმდინარეობს რეგიონის ტურისტული პოტენციალის ონლაინ რეკლამირება სოციალურ მედია პლატფორმა ფეისბუქსა და ინსტაგრამზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პიარმარკეტინგული აქტივობები: მაჭახელას ტურისტული მიმართულების, ტურისტული პროდუქტებისა და კულინარიის საპოპულარიზაციო ღონისძიების ორგანიზება, ასევე ზაფხულის ფესტივალის ორგანიზების ფარგლებში ქალაქის გააქტიურებისა და ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით ბათუმის ძირითად ქუჩებში მოეწყო დრამების

შოუ, ფრანების შოუ და დაიგეგმა ინტერაქტიული თამაშები, კერძოდ მოეწყო საცოცავი კედელი, რომელზეც დატანილი იყო ტურისტული ადგილები.

ქობულეთის საზღვაო ტურისტული სეზონის პოპულარიზაციის მიზნით ზაფხულის ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქობულეთი სანაპირიზე ფრანების შოუ.

კულინარიული ტურიზმისა და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციისათვის ქობულეთში მოეწყო ავთენტური აჭარული კერძების პრეზენტაცია და ფოლკლორული შოუ.

ასევე განხორციელდა პიარ აქტივობები მთის ტურიზმის პოპულარიზაცისათვის შუამთობის დღესასწაულთან დაკავშირებით შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

შიდა ტურიზმის სტიმულირებისა და შემოდგომაზე რეგიონში მოგზაურობის სტიმულირების მიზნით განხორციელდა საინტერესო ღონისძიებები ბათუმში ინსტალაციებისა და პიარ აქტივობის სახით, რომლის ფარგლებშიც მოეწყო აჭარის რეგიონის რეწვის დარგების, ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების პრეზენტაცია-გამოფენა.

რეგიონის სამთო-სათხილამურო მიმართულების პოპულარიზაციისა და ზამთარში აჭარაში მოგზაურობის წახალისების მიზნით, კერძოდ, კურორტ გოდერძის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისა და კურორტზე შიდა ვიზიტორების მოზიდვის მიზნით განხორციელდა ზამთრის თემატიკის და კურორტ გოდერძის ამსახველი ინსტალაციების, დეკორაციების განთავსება და პიარ აქტივობების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ზამთრის კურორტებზე თოვლის არ ქონის გამო სათხილამო სეზონთან დაკავშირებული და ზამთრის კურორტების საპოპულარიზაციო აქტივობები ვერ განხორციელდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,2 %

ქვეპროგრამის - რეგიონის, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 479,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 438,1 ათას ლარი.

საანგარიშო პერიოდში დეპარტმანეტმა შეიძინა 49 900 ცალი ბრენდირებული სარეკლამო-საპრომოციო მასალა, კერძოდ: ნაჭრის ჩანთა 10 000 ცალი, ბურთულიანი კალამი 10 000 ცალი, ბლოკნოტი 7 000 ცალი, მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა 5 000 ცალი, საწვიმარი ლაბადა 5 000 ცალი, ფეხსაცმლის დამცავი 5 000 ცალი, კეპი 5 000 ცალი, მაისური 1 600 ცალი, შარფი 800 ცალი, სუფრის დასაფენი 300 ცალი და სუფრა 200 ცალი.

დამზადდა ინგლისურენოვანი სარეკლამო-საინფორმაციო ბროშურა „აჭარა-ბათუმი“ 6 000 ცალი, ასევე აჭარის რეგიონის საქმიანი ტურიზმის, ე.წ. MICE ბროშურა - 2 000 ცალი. ღონისძიების „რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სარეკლამო-

საპრეზენტაციო ვიდეორგოლის დამზადება“ ფარგლებში, შეიქმნა ორი ერთეული საახალწლო ვიდეორგოლი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,3 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას, აქედან **ქვეპროგრამა - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს** ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრიულ ხარჯებს და 2 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 356,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 3 088,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2023 წელს განხორციელდა რვა საინფორმაციო გაცნობითი ტური. სააგენტომ უმასპინძლა ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეა „EU Rural Tour“ და ყოველწლიური სოფლის ტურიზმის კონფერენციას, ასევე ჩატარდა ზაფხულის სეზონის გახსნის ღონისძიება, გაეწია ორგანიზება ქობულეთის ზაფხულის ფესტივალს, გაეწია ორგანიზება ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალს და ჩატარდა სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“. დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, „ხალხური რიტუალები და ტრადიციები აჭარაში“, „ბათუმი-აჭარის-გზამკვლევი“, ასევე ტურისტული მარშრუტის რუკები და კატალოგები.

განხორციელდა კავიანის ველობილიკის მარშუტის ეტიკეტირება.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე, ისპანის ტორფნარზე მოეწყო საფეხმავლო ბილიკი.

განხორციელდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. მირვეთის ჩანჩქერამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის მოწყობის სამუშაოები.

დასრულდა ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე ხიხანის ციხეზე მისასვლელი ბილიკის მოწყობის სამუშაოები.

განხორციელდა მცირეფასიანი და ძვირადღირებული ნიშნულების შეძენა ტურისტული ლოკაციებისთვის.

განხორციედა აჭარის მთებსა და სოფლებში, ტურისტულ ლოკაციებზე დადგმული, საიმიჯო ფოტოების შესყიდვა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტუქტურა, შუახევის მუნიციპალიტეტში: ღომასა და ჯვარმინდორზე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - მირვეთში.

დასრულდა ისპანის ტორფნარზე ეკოტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ფრინველებზე დაკვირვების სათვალთვალო კოშკის შუალედური სამშენებლო სამუშაოები.

დასრულდა აჭარის ზღვისა და შიდა წყლების თევზეულობის კვლევა, კვლევის ფარგლებში თევზის კერძების მომზადება და ერთ კულინარიულ გზამკვლევში გაერთიანება.

განხორციელდა ავთენტური დარგების რეკონსტრუირების მიზნით აჭარაში არსებული და მივიწყებული რეწვის დარგების კვლევა და კვლევის ფარგლებში შესწავლილი მასალით გზამკვლევის მომზადება

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,0 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 812,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 731,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელება“ ფარგლებში გადამზადდა ტურიზმის სექტორში დასაქმებული 1000-მდე პირი და ჩატარდა შემდეგი თემათიკის სატრენინგო ღონისძიებები:

თურქულენოვანი გიდებისათვის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ-კურსი „გიდის პროფესია, ქალაქი ბათუმი და მისი შემოგარენი“.

დამწყები გიდებისათვის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ-კურსი „გიდის პროფესია, ქალაქი ბათუმი და მისი შემოგარენი“.

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანებისთვის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთათვის ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული კვების ობიექტების მმართველი რგოლის - მენეჯერების ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების მმართველი რგოლის - მენეჯერების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების მიმღები განყოფილების თანამშრომელთა თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის სტუარდინგის მიმართულებით მუშაობის ძირითადი პრინციპების შესახებ თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის შრომის უსაფრთხოების საკითხების შესახებ თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგები;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსების ობიექტების ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის HR მენეჯერის მიმართულებით ტრენინგ-კურსი;

აჭარის რეგიონში მოქმედი ტურისტული გიდებისათვის „სოციალური მედიის მართვის“ თემაზე თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის ტურისტული გიდებისათვის და ტურიზმის სფეროს სხვა დაინტერესებული პირებისათვის თემატური ტრენინგები ქობულეთის თემატიკის შესახებ, სულ 7 შეხვედრა;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების და ასევე საოჯახო ღვინის მარნების წარმომადგენლებისათვის სომელიეს საბაზისო თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ-კურსი.

ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ორი აქტივობა: აჭარის რეგიონში სტუმარმასპინძლობის სფეროს წარმომადგენლებისათვის გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიება, რომელიც მოიცავდა: ბათუმის პირველ საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმს პანელური დისკუსიებით და უცხოელი შეფ-მზარეულების მიერ ჩატარებულ სამ მასტერკლასს შემდეგი მიმართულებებით: თევზეულისა და ზღვის პროდუქტების მომზადების მასტერკლასი, ტრენერი - შეფი სტეფან იაკიჩი (საფრანგეთი), სოუსების მომზადების მასტერკლასი, ტრენერი - შეფი როლან დებუსტი (ბელგია), ხორცეულის მომზადების მასტერკლასი, ტრენერები - შეფები ილჰან ონაი (თურქეთი) და არტურ ლინკევიჩი (ლატვია). ზემოაღნიშნულ მასტერკლასებს დაესწრნენ აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების მზარეულები. ამავე ღონისძიების ფარგლებში დამზადდა ოთხი ვიდეო რეცეპტი.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული სტუმარმასპინძლობის სფეროს წარმომადგენლების პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის მნიშვნელობის თემატიკაზე განხორციელდა შეხვედრა-მასტერკლასები საქართველოში ცნობილი ე.წ ცნობილი სპიკერი-ქოუჩების მონაწილეობით შემდეგ თემატიკებზე: მენეჯმენტის ფსიქოლოგია და კომუნიკაცია ორგანიზაციაში (ზურაბ მხეიძე) და მუდმივი განვითარების საჭიროება და წარმატება 21-ე საუკუნეში (ალექსანდრე ჯეჯელავა).

საინფორმაციო ბროშურებისა (მათ შორის, სახელმძღვანელოების, გაიდების, გზამკვლევების) და სხვა მასალების მომზადება-ბეჭდვის მიზნით დამუშავდა და დამატებითი მასალა მომზადდა გიდების სახელმძღვანელოებისათვის - ქალაქ ბათუმის ტურები და მარშრუტები და ქალაქ ქობულეთისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტურები და მარშრუტები.

ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მიზნით აჭარის მასშტაბით 100 განთავსებისა და 100 კვების ობიექტში განხორცელდა მომსახურების ხარისხის კვლევა იდუმალი სტუმრის მეთოდით, ასევე ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა აჭარის რეგიონის მასშტაბით უცხოელ და ადგილობრივ ტურისტთა კმაყოფილების კვლევა, გამოიკითხა 3 000 რესპოდენტი.

გაიმართა ტურიზმის ინდუსტრიაში წლის საუკეთესო ტურისტული სერვისების მიმწოდებელი ობიექტების დაჯილდოების ღონისძიება, რომელსაც დაესწრო 500-ზე მეტი სტუმარი.

სერვისის განვითარებისათვის მომზადდა 10 ვიდეოგაკვეთილი შემდეგ თემებზე: სატელეფონო ეტიკეტი სასტუმროში; ჯავშანი; მიმღებ განყოფილებაში დესკის ორგანიზება და ადმინისტრატორის/რეცეფშენის უფლება მოვალეობები; სტუმრის შემოსვლა (ჩექ ინ); სტუმრის გასვლა (ჩექ აუთ); მებარგულის (ბელბოის) სერვისი; რუმ სერვისი; სასტუმრო ნომრის ინსპექტირება; დაკარგული ნივთები; შშმ პირთა მისაწვდომობა განთავსების ობიექტებში და მათი მომსახურების თავისებურებანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,1 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2023 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 27 838,7 ათას ლარს, შესრულება - 17 071,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დასრულდა 12 გზის და მიმდინარეობს 7 გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის 6 გზის მშენებლობა წარმოადგენს მრავალწლიანი შესყიდვის ობიექტს. შეწყდა 3 გზის სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით, კერძოდ:

გარკვეულ სამშენებლო ობიექტებზე კონტრაქტორმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულება, რის გამოც აღნიშნული ხელშეკრულებები შეწყვეტილია; ჭოროხის გზის სამშენებლო არეალში მდებარე ბენზინგასამართი სადგურის გადატანის სანებართვო პროცედურები ვერ დასრულდა საანგარიშგებო პერიოდში, რამაც განაპირობა გარკვეულწილად

აუთვისებლობა; ასევე სამუშაოების გარკვეული ნაწილი დასრულდა 2023 წელს, თუმცა ვერ მოხერხდა ტექნიკურ-საზედამხედველო დასკვნების წარმოდგენა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 61,3 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9 989,1 ათას ლარს, შესრულება - 9 252,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 17 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 122 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა, 1 საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები შეფერხდა სტიქიის გამო, შეწყდა 2 საყრდენი კედლის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 2 საყრდენი კედლის მშენებლობაზე მშენებლობის განმახორციელებელ კომპანიას ერიცხება პირგასამტეხლო სამუშაოების საბოლოო დასრულებამდე.

დასრულდა 13 დამცავი ნაგებობების და წყალარინების მოწყობა, შეწყდა 2 დამცავი ნაგებობების და წყალარინების მოწყობის სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,6%

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 24 278,9 ათას ლარს, საკასო შესრულება 21 519,6 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები;

განხორციელებულია გზების წმენდა ჩამონაშალებისაგან და თოვლის საფარისაგან;

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

განხორციელებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

გაწეულია 2022 წელს მონოლითური ბეტონის შეძენასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების ხარჯი;

შეძენილია სამშენებლო მასალები; განხორციელდა სპეცტანსაცმლის შესყიდვა; განხორციელდა მილების შეძენა; განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის ორმულის შეკეთება და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

გაწეულია ხარჯი 2022 წელს მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებების ოფისების მშენებლობა/რეაბილიტაციასა და სამეურნეო ეზოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მიზნით;

გაწეულია ხარჯი მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებების ოფისების მშენებლობა/რეაბილიტაციისა და სამეურნეო ეზოების კეთილმოწყობის მიზნით;

შეძენილია მუნიციპალიტეტებში არსებული განყოფილებებისათვის საოფისე ავეჯი;

გაფორმებულია ხელშეკრულება 27 000 კუბ.მ ბეტონის მოწოდებაზე, მიწოდებულია 22 000 კუბ.მ.

შეძენილია 3 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

შეძენილია 28 ერთეული სპეცტექნიკა (გაცემულია ავანსი), ხოლო საანგარიშგებო პერიოდში მოწოდებულია 1 ერთეული სპეცტექნიკა;

შეძენილია 6 ერთეული მცირე ტვირთამწეობის სატვირთო მანქანა;

შეძენილია საგზაო სარკეები და საგზაო ბარიერები;

გაწეულია ხარჯი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურეობის ასანაზღაურებლად;

გაწეულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მექანიზმის ყოველთვიური მომსახურების ხარჯი;

განხორციელებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა;

გაწეულია ხარჯი 2022 წელს სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის სამუშაოებზე წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება.

გაწეულია მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაზღვევის ხარჯი.

საგზაო ნიშნების საბეჭდი მოწყობილობის შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება, ხოლო მოწოდება განხორციელდება 2024 წელს მიწოდების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს დარიცხვის გზით;

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

საანგარიშო პერიოდში კომპანიების მიერ ვერ მოხდა მონოლითური ბეტონის შესყიდვასთან დაკავშირებით დროულად ლაბორატორიული დასკვნების წარმოდგენა, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურები. ასევე კომპანიის მიერ ვერ მოხერხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა ბეტონის სრულად მოწოდება. გარდა ამისა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის ღონისძიებაში არსებული რესურსი გამოწვეულია ინფრასტრუქტურული პროექტების შეფერხებით განხორციელებით. ასევე, საანგარიშო პერიოდში „არ შედგა“ რკინაბეტონის არმირებული კიუვეტის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,6 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2023 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა, ზოგადი განათლება, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 35 760,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 34 957,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია სამი საჯარო სკოლის მშენებლობა და მიმდინარეობს 9 საჯარო სკოლის მშენებლობა, სულ გაწეულია 23 389,5 ათასი ლარი.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2023 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ბილდ მენეჯმენტ“-მა, დასრულებულია სამ სართულიანი შენობის სასწავლო კორპუსის მშენებლობა და მიღება-ჩაბარების პროცედურები.

სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა (მშენებლობა და მეორე კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2019-2023 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ნიკა“. დასრულებულია სასწავლო კორპუსის მშენებლობა (სამ სართულიანი შენობა სპორტ დარბაზით), აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყდა, სამუშაოების გარკვეული ნაწილის სამშენებლო ნორმების დარღვევით, გარკვეული ნაწილის უხარისხოდ შესრულებისა და მოწოდების ვადების უხეშად დარღვევის გამო; გამოცხადდა ხელახალი ტენდერი სკოლის ძირითადი კორპუსის დასრულებით სამუშაოებზე, გამარჯვებული კომპანია გამოვლინდა შპს „დიდა“, რომელმაც განახორციელა შემდეგი სამუშაოები: ეზოში დაისხა ბეტონი, მოეწყო ბორდიურები, დაიგო კორდი, ასევე განხორციელდა შენობის შიდა მოპირკეთებითი სამუშაოები, კერძოდ დაიგო ტექნოგრანიტის ფილები, ჩაისვა კარები, განხორციელდა შიდა სამღებრო სამუშაოები. შესრულებული სამუშაოები დაფინანსებულია 847,0 ათასი ლარით. მეორე კორპუსის ფასადების მოპირკეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2017“-მა, თნხით 153,6 ათასი ლარი.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოს საჯარო სკოლა (სპორტული და სააქტო დარბაზის მშენებლობა (2019-2023 წწ)) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ნიკა“, აღნიშნულ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყდა, გარკვეული ნაწილის სამშენებლო ნორმების დარღვევით, ნაწილის უხარისხოდ შესრულებისა და მოწოდების ვადების

უხეშად დარღვევის გამო; გამოცხადდა ხელახალი ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს „დიდა“, რომელმაც განახორციელა ეზოს კეთილმოწყობა, სპორტული და სააქტო დარბაზების და შენობის სხვა შიდა მოპირკეთების სამუშაოები. მოეწყო გათბობის სისტემა და დასრულდა სპორტული მოედნის მშენებლობა. გაწეულია ხარჯი 318,8 ათასი ლარი.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა (2021-2023 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ძმები“, მოეწყო სახანძრო კიბე, დასრულდა სპორტული დარბაზის და მოედნის მშენებლობა, სკოლის შენობაში შეიცვალა გათბობის რადიატორები, ეზოში დაისხა ბეტონი, მოეწყო ეზოს განათება, რომელიც დაფინანსებულია 133,7 ათასი ლარით. შიდა მოპირკეთებითი სამუშაოები დასრულდა. სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა.

სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა (ძირითადი და საძილე კორპუსების რეკონსტრუქცია/მშენებლობა/რეაბილიტაცია 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დს კონსტრაქშენი“, დასრულდა ორი შენობის (სასწავლო და საცხოვრებელი კამპუსი) კონსტრუქციული ნაწილი, მიმდინარეობს შიდა მოპირკეთების სამუშაოები, რომელიც დაფინანსებულია 2 765,7 ათასი ლარით.

სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2019-2023 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბალავარი ჯგუფი“, დასრულდა ფასადის და შიდა მოპირკეთებითი სამუშაოები, მიმდინარეობს სპორტულ დარბაზში იატაკის დაგება, ჩასმულია შიდა კარები და მიმდინარეობს შიდა სამღებრო სამუშაოები, რომელიც დაფინანსებულია 149,1 ათასი ლარით. დასრულდა საქვაბის მშენებლობა და დამოტაჟდა გათბობის სისტემა, რომელიც განახორციელა შპს „მშენებელი 2016“-მა , თანხით 19,6 ათასი ლარი. მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს შპს „ფერმო ფენსი“. საანგარიშო პერიოდში ანგარიშსწორება არ განხორციელებულა;

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლის ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა (2019-2024 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ნევ სტაილ ბილდინგ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 222,4 ათასი ლარით. დასრულდა გათბობის სისტემის შეცვლა, საქვაბის გადატანა, სპორტ დარბაზში ჩასმულია ფანჯრები, შეიღება ფასადი, შიდა კედლები და ჭერები. გრძელდება დაბაზში მოპირკეთების სამუშაოები. სკოლაში ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს შპს „ვარმშენი“, რომელიც დაფინანსებულია 97,6 ათასი ლარით სსსმ მოსწავლეებისათვის მოეწყო ოთხი (ინკლუზიური) კლასი, რომელშიც განხორციელდა სამღებრო სამუშაოები, გამოიცვალა იატაკები, კაბინეტებში მოეწყო სპეციალური მოაჯირები და პანდუსები. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2020-2024 წწ) - სამუშაოები ახორციელებს შპს „მტმ“, რომელიც

დაფინანსებულია 2 060,2 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის კონსტუქციული შიდა სამუშაოები, დასრულდა ფასადზე ალუკაბონდის ფილის გაკვრა და უკანა ფასადზე თუნუქის გაკვრა. დასრულდა ფერდსამაგრი სამუშაოები. დასრულების ეტაპზეა ეზოს მოპირკეთების სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2023-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს მშენებელი კომპანია შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 51,9 ათასი ლარით, დასრულდა გარე ფასადის რეაბილიტაცია, შესყიდულია სპორტული დაბაზის პროექტი, მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა.

ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლის აშენება (მშენებლობა 2022-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიკა 2010“, რომელიც დაფინანსებულია 2 233,3 ათასი ლარით, დასრულდა „ბ“ ბლოკის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები და „ა“ ბლოკში კონსტრუქციული ნაწილი სრულად და მიმდინარეობს გარე/შიდა კედლების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლა (რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია 2021-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი“, რომელიც დაფინანსებულია 1 589,3 ათასი ლარით, დასრულდა დამატებითი შენობის მშენებლობა, შიდა მოპირკეთების, გათბობისა და ელ.გაყვანლობის სამუშაოები, მიმდინარეობს ფასადის მოპირკეთება და ეზოს შემომფარგლავი ღობის მოწყობა, დასრულდა სპორტული მოედნის მშენებლობა და კეთილმოეწყო ეზო. ასევე განხორციელდა შენობის სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რომელიც დაფინანსებულია 6,3 ათასი ლარით, სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“-მა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2022-2025 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ანაგი“, რომელიც დაფინანსებულია 12 741,0 ათასი ლარით, დასრულდა „ბ“ და „ც“ ბლოკების კონსტრუქციული ნაწილის მშენებლობა, მიმდინარეობს შიდა და გარე (ფასადი) მოპირკეთების სამუშაოები.

2 საჯარო სკოლის მშენებლობაზე მიმდინარეობს პროექტის დაზუსტება/შეთახმების პროცედურები:

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლა (მშენებლობა 2023-2025 წწ) მიმდინარეობს პროექტის დაზუსტების პროცედურები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2023-2025 წწ) - მიმდინარეობს პროექტის შეთანხმების პროცედურები;

ხოლო 1 საჯარო სკოლის მშენებლობაზე შესყიდულია მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია 2023-2026 წწ).

გამოცხადებულ 2 საჯარო სკოლის მშენებლობაზე არ შედგა ტენდერი: სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2023-2025წწ), სსიპ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და დამატებითი კორპუსების მშენებლობა 2023-2025 წწ).

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს/დასრულებულია 50 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, სულ გაწეულია 9 926,9 ათასი ლარი.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარშალ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 8,1 ათასი ლარით, დასრულდა სანიაღვრე არხის და სკოლის შენობის საძირკვლის გამაგრების სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 70,9 ათასი ლარით, შეიცვალა სახურავი და საკლასო ოთახებში იატაკი.

სსიპ შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მთისუბნის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 85,8 ათასი ლარით, გამოიცვალა შენობის სახურავი, საკლასო ოთახებში იატაკი და მოეწყო პანდუსი.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩანჩხალოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდი“-მა, რომელიც დაფინანსებულია 259,3 ათასი ლარით, გამოიცვალა შენობის სახურავი, კეთილმოეწყო ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 263,8 ათასი ლარით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ დარბაზს, შეიცვალა ჭერი და გამოიცვალა შენობის სახურავი.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგინაურის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარშალ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 25,3 ათასი ლარით, დაისხა ეზო და მოეწყო სპორტული მოედანი. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2016“-მა, რომელიც დაფინანსებულია 72,7 ათასი ლარით, დასრულდა შენობის სახურავისა და ფასადის მოწყობითი სამუშაოები; ახალი ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მშენებელი 2017“-თან, რომელიც დაფინანსებულია 409,6 ათასი ლარით, დასრულდა საყრდენი კედლის მოწყობა, ეზოს მოპირკეთებითი სამუშაოები, ღობის მშენებლობა და შიდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.დასრულდა სკოლის რეაბილიტაცია.

სსიპ ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ციტადელმა“, რომელიც დაფინანსებულია 73,8 ათასი ლარით, განხორციელდა საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მშენებელი 2017“-მა, რომელიც დაფინანსებულია 18,2 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის შენობის უკან სანიაღვრე არხის მოწყობა.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაშტის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ), სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“-მა, რომელიც დაფინანსებულია 39,9 ათასი ლარით, დასრულდა შენობის სახურავის შეცვლა.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ) სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“-მა, რომელიც დაფინანსებულია 129,7 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის შენობის გადახურვა.

სსიპ მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ) სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“-მა, რომელიც დაფინანსებულია 115,2 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის შენობის გადახურვა.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ქარდა 201“-მა, რომელიც დაფინანსებულია 121,2 ათასი ლარით, შეიცვალა სახურავი.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა „სისაიდ გრუპი“, რომელიც დაფინანსებულია 300,2 ათასი ლარით, შეიცვალა სახურავი, დასრულდა სკოლის ფასადზე თუნუქის გაკვრის სამუშაოები, მოეწყო სველი წერტილები, დაიგო იატაკი სპორტულ დარბაზში და საკლასო ოთახებში, აგრეთვე დასრულდა შიდა სამღებვრო სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 96,4 ათასი ლარით. განხორციელდა ეზოს დასხმა, მოეწყო ღობე, ნაწილობრივ სამღებრო სამუშაოები, ნაწილობრივ შეიცვალა კარ-ფანჯრები. სამუშაოები დასრულებულია. ასევე სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუსთარ“-მა, რომლის დაფინანსება განხორციელდება 2024 წელს, შეიცვალა კარ-ფანჯრები, სველ წერტილებში შეიცვალა ჭერი და ელ. გაყვანილობა, მოპირკეთდა კედლები, სამუშაოები დასრულებულია

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 153,4 ათასი ლარით, განხორციელდა საყრდენი კედლის გამაგრების სამუშაოები რკინა-ბეტონით, ნაწილი ღობის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემა გადაყვანილი იქნა ბუნებრივ აირზე. სამუშაოები დასრულებულია. სკოლაში ასევე

სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუსთარ“-მა, რომლის დაფინანსება განხორციელდება 2024 წელს, მოეწყო შშმ პირთათვის პანდუსი და უკანა ეზოში დაისხა რკინა-ბეტონის ფილა. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.)- სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „ნიუსთარ“-მა, რომლის დაფინანსება განხორციელდება 2024 წელს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გათბობის სისტემას. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ალამბრის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 57,6 ათასი ლარით. სახურავის, ფასადისა და ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სკურას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 26,5 ათასი ლარით. განხორციელდა შიდა სრული რეაბილიტაცია. სამუშაოები დასრულებულია.

სსიპ ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენმა“, რომელიც დაფინანსებულია 28,4 ათასი ლარით, დასრულდა ერთსართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია და მოპირკეთდა ფასადი.

სსიპ ჯემალ ნოღაიდელის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „დანი კონსტრაქშენმა“, რომელიც დაფინანსებულია 8,7 ათასი ლარით. დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

სსიპ ომარ ასლანიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 152,9 ათასი ლარით, შეიცვალა სკოლის შენობის სახურავი, სამუშაოები დასრულებია.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი-1“, რომელიც დაფინანსებულია 153,7 ათასი ლარით, დასრულდა სახურავის შეცვლის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 28,0 ათასი ლარით. დასრულდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც

დაფინანსებულია 262,4 ათასი ლარით. სარეაბილიტაცია სამუშაოები ჩაუტარდა შენობის სახურავს.

სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „მარდ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 253,4 ათასი ლარით, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ დარბაზს, შეიცვალა სახურავი და აშენდა ახალი საქვაბე, სკოლაში ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა შპს „ვარმშენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 45,9 ათასი ლარით, მოეწყო სსსმ მოსწავლეებისათვის ოთხი კლასი (ინკლუზიური), რომელშიც განხორციელდა სამღებრო სამუშაოები, გამოიცვალა იატაკები და კაბინეტებში მოეწყო სპეციალური მოაჯირები. სამუშაოები დასრულებია.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ), სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 26,0 ათასი ლარით. რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობის სახურავს.

სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“-მა, რომელიც დაფინანსებულია 243,3 ათასი ლარით. დასრულებულია ეზოსა და ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობითი სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 188,3 ათასი ლარით. მოეწყო სველი წერტილები. სამუშაო დასრულებულია.

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - გადახურვის სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 12,6 ათასი ლარით. აგრეთვე სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, დასრულებულია სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები. რეაბილიტაცია დაფინანსებულია 106,1 ათასი ლარით.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის N11 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ),სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 74,5 ათასი ლარით. დასრულებულია სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 30,9 ათასი ლარით. განხორციელდა ღია სპორტული მოედნისა და ღობის მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 119,2 ათასი ლარით. დასრულებულია სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 10,0 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის გადახურვის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 21,3 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის გადახურვითი სამუშაოები. აგრეთვე სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 118,5 ათასი ლარით. დასრულებულია სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „კაიზენ“-მა, რომელიც დაფინანსებულია 12,6 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის გადახურვითი სამუშაოები და გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი. ამავე სკოლაზე სამუშაოებს აწარმოებდა შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 137,8 ათასი ლარით. დასრულებულია სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წწ), სამუშაოები განახორციელა შპს „ქარდა 701“-მ, რომელიც დაფინანსებულია 20,3 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის გადახურვითი სამუშაოების.

სსიპ ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია2023წ.) სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 3,0 ათასი ლარით. სამუშაო დასრულებულია, მოეწყო სველი წერტილები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ) - სამუშაოები განახორციელა შპს „დიდა“-მ, რომელიც დაფინანსებულია 739,7 ათასი ლარით, განხორციელდა სკოლის შენობის და ტერიტორიის სრული რეაბილიტაცია.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაკიძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ) - სამუშაოებს ახორციელებს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 109,0 ათასი ლარით, დასრულდა შენობის ნაწილობრივი (მეორე სართულის სრული რეაბილიტაცია) რეაბილიტაცია და ფასადზე საკვამური მილების მონტაჟი.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ), სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი1“, რომელიც დაფინანსებულია 113,5 ათასი ლარით, დასრულდა შენობის სახურავის შეცვლა, მიმდინარეობს ფასადის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 64,5 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის შენობის გადახურვა. ასევე ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ფერმო“, რომელიც დაფინანსებულია 75,0 ათასი ლარით.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მტმ“, რომელიც დაფინანსებულია 1 126,5 ათასი ლარით. დასრულების ეტაპზეა შიდა მოპირკეთების სამუშაოები, დასრულებდა უკანა ფასადის თუნუქით შემოკვრის სამუშაოები,

მიმდინარეობს ღობის და ეზოს მოწყობის სამუშაოები. აგრეთვე სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 105,8 ათასი ლარით, მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 170,6 ათასი ლარით, შეიცვალა სკოლის შენობის სახურავი. სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 144,3 ათასი ლარით, შეიცვალა სკოლის შენობის სახურავი, სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 167,4 ათასი ლარით, შეიცვალა სკოლის შენობის სახურავი, სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023 წ.) სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფერმო ფენსი“, რომელიც დაფინანსებულია 18,2 ათასი ლარით, მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა (ძირითადი და საბაზო კორპუსი) (რეაბილიტაცია 2023 წ), სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფერმო ფენსი“, მიმდინარეობს ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

სსიპ ქალაქ ქობულეთის N5 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მტმ“, რომელიც დაფინანსებულია 1 762,3 ათასი ლარით. დასრულდა სრული რეაბილიტაცია, შეიცვალა ფანჯრები, გაკეთდა მთლიან შენობაში ჭერი, შესრულდა შიდა სამღებრო სამუშაოები, დაიგო ლამინატი და განხორციელდა ფასადის რეაბილიტაცია. სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა.

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2023 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „ბეგი ჯორჯია“-მ, რომელიც დაფინანსებულია 164,3 ათასი ლარით. ჩატარდა შენობის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს „როდა“, რომელიც დაფინასებულია 161,6 ათასი ლარით. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააქტო დარბაზს და შეიფუთა შენობის უკანა ფასადი.

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2022-2024 წწ.) - სამუშაოები განახორციელა შპს „დიასი 2007“, რომელიც დაფინანსებულია 207,7 ათასი ლარით; დასრულდა დამატებით ხუთი საკლასო ოთახის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები; ასევე სამუშაოებს აწარმოებს შპს „მშენებელი

2017“, დასრულდა ლიფტისა და შენობის ფასადის შეფუთვა. რეაბილიტაციისათვის გაიწია 101,6 ათასი ლარი. შპს „დიდას“ მიერ მოეწყო სველი წერტილები თანხით 227,0 ათასი ლარი. აგრეთვე შპს „სისაიდ გრუპ“-ის მიერ განხორციელდა ღია სპორტული მოედნის მოწყობა, გარე კიბეები, პანდუსი, ფასადის მოპირკეთება, მოეწყო გარეთ თბოქსელი (გათბობის სისტემა). სამუშაოები დასრულებულია და ანაზღაურებულია 82,5 ათასი ლარით.

1 საჯარო სკოლის მშენებლობაზე არ შედგა ტენდერი - სსიპ სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023-2024 წწ), ხოლო 1 საჯარო სკოლის მშენებლობაზე მიმდინარეობს პროექტის დამუშავების პროცედურები - სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2023წ).

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ჩხუტუნეთის და ჩიქუნეთის საჯარო სკოლებში შპს „იორ ბუილდინგ კომპანიი“-ს მიერ განხორციელდა გათბობის სისტემის მოწყობა და სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია, რომელიც დაფინანსებულია 209,0 ათასი ლარით.

ასევე განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ 29 საჯარო სკოლაში მზის მიკრო ელექტროსადგურების პანელების მონტაჟი თანხით 353,3 ათასი ლარი.

შესყიდულია 28 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გაწეულია თანხა 374,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის კოორდინატორის და საპროექტო ჯგუფის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 125,1 ათასი ლარი, ტექნიკურ ზედამხედველობასა და ექსპერტიზაზე გაწეულია 470,5 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელზე გაწეულია 108,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8%

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 281,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 027,9 ათას ლარს.

26 საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით. თანხით 566,0 ათასი ლარი.

ღონისძიების - მომავლის განათლება ფარგლებში 8 საჯარო სკოლა აღიჭურვა ტექნოლოგიების კომპლექტით (პროექტორი, პროექტორების ეკრანი, ხმის აპარატურა და სხვ.), ასევე შესყიდულია ლეპტოპები. თანხით 171,7 ათასი ლარი.

12 საჯარო სკოლა აღჭურვილია მხატვრული ლიტერატურით, საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსო ქართული და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათისა და სხვა სახის ლიტერატურით. თანხით 62,4 ათასი ლარი.

ღონისძიების ბიბლიოთეკების რემოდელირების ფარგლებში შეძენილია 4 სკოლის საბიბლიოთეკო სივრცისათვის პროექტორი, ეკრანი, ლეპტოპი, კატრიჯი, პრინტერი თანხით 65,1 ათასი ლარი.

3 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტების კომპლექტით: პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ. თანხით 30,0 ათასი ლარი.

14 საჯარო სკოლა აღჭურვილია სპორტული ინვენტარით თანხით 69,3 ათასი ლარით.

9 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდირებულია, ავეჯით აღჭურვილია თანხით 63,4 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებით, ღონისძიების ბიბლიოთეკების რემოდელირების ფარგლებში დაგეგმილი იყო ბიბლიოთეკების რემოდელირების პროექტირება და რეაბილიტაცია, 2023 წელს განხორციელდა მხოლოდ პროექტირება, ვერ მოესწრო რეაბილიტაცია, აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება 2024 წელს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,2 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 539,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 8420,6 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა თანხით 8 395,4 ათასი ლარი. გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 25,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 220,9 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 175,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 989,3 ათასი ლარი. ასევე გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე - 16,0 ათასი ლარი.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჩართულობით, მომზადდა და გამოიცემა წიგნი „ეთნოგრაფიული აჭარა“ და ალბომი „აჭარა“, საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი 85,0 ათასი ლარი.

58 სტუდენმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი 85,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3%

ქვეპროგრამის - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 890,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 880,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აკადემიის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შესყიდული იქნა მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერთიფიცირების ცენტრში დინამიური პოზიცირების ხიდურის DP-ის ლაბორატორია/სასწავლო სიმულატორი, ასევე, მოხდა DP-ის სიმულატორის გარდაქმნა ხიდურის სიმულატორად, რისთვისაც განხორციელდა DP-ის სიმულატორზე მართვის კონსოლების, სავიზუალიზაციო ეკრანისა და სხვა, სიმულატორისთვის საჭირო სპეციფიკური ტექნიკური პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა, წვრთნისა და სწავლების პროცესის განხორციელებისათვის ECDIS-ის კლასის ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა, კერძოდ, ვიზუალიზაციისათვის საჭირო LCD ეკრანები და ECDIS კლასის ვირტუალური რეალობის კონსოლების შესყიდვა, ვიზუალიზაციის მონიტორების შეცვლა და მასში დამატებით ელექტრონული ძრავის მოდულის ინტეგრირება თანხით - 636,2 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა საზღვაო-სახანძრო უსაფრთხოების სასწავლო-საწვრთნელი ნაგებობის მშენებლობის პირველი ეტაპი. აკადემიის ტერიტორიაზე დამონტაჟდა გემის ხიდურას ფორმის ნაგებობა. სახანძრო სიმულატორის მშენებლობა-დასრულების უზრუნველსაყოფად გაფორმდა ხელშეკრულება შპს „მმს გრუპთან“ და ანაზრაურებულია 100,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება ელექტრომექანიკური დაჭიმვისა და შეკუმშვის ტესტირების ლაბორატორიის შესყიდვაზე, რომელიც დაფინანსდა თანხით - 105,4 ათასი ლარი;

აკადემიის 5 სტუდენტმა წარმატებით გაიარა საზღვაო პრაქტიკა (Georgian Crewing Agency - GCA) საკრუინგო კომპანიაში, გაწეულია ხარჯი 39,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,9 %

ქვეპროგრამის - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 200,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 193,2 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
დაფინანსებულია უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესორ მასწავლებელების შრომის ანაზღაურება - 1 100,0 ათასი ლარი.

გადახდილია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საფასური 49,9 ათასი ლარი.

განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სასწავლო ტექნიკით აღჭურვა, რაზეც ხარჯი გაწეული იქნა 43,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 366,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი 262,4 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განხორცილდა კომუნალური ხარჯების და აკრედიტაციის საფასურის გადახდა თანხით 182,4 ათასი ლარი.

განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაზეც გაწეული იქნა 80,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია კომუნალური ხარჯების აუთვისებლობითა და საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციიდან მიღებული ეკონომიებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,7 %

პროგრამა - საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.
ქვეპროგრამის - საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 304,7 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 298,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლები: სსიპ „სოფელ სალიბაურის საჯარო სკოლა“, სსიპ „ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“, სსიპ „ქედის მუნიციპალიტეტის ფრიდონ თურმანიძის სახელობის სოფელ მერისის საჯარო სკოლა“ და სსიპ „დაბა შუახევის საჯარო სკოლა“ დაფინანსდა 298,0 ათასი ლარით, რაც ძირითადად მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას და მიმდინარე ხარჯებს. საშუალოდ 91 აღსაზრდელს გაეწია საპანსიო მომსახურება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,8 %

ქვეპროგრამის - გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 540,9 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 471,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქ. ბათუმის N26 საჯარო სკოლაში ინკლუზიური სწავლება განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 44 მოსწავლისათვის. სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლაში განხორციელდა აუტისტური სპექტრის 14 მოსწავლისათვის საგანამანათლებლო მომსახურება - შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი არიან მათვის საჭირო სასწავლო საგანმნათლებლო მომსახურებით. ქ. ბათუმის N6 გაძლიერებული ფიზიკა/მათემატიკის სკოლაში სწავლების კურსს გადის 146. სულ გაწეულია 454,3 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,8 ათასი ლარი.

აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია - სსიპ ქალაქ ბათუმის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების N6 საჯარო სკოლის მიერ ოფისის, შრომის ანაზღაურების ფონდის აუთვისებლობით, ასევე სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლის მიერ ოფისის, კვებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის, მომსახურებისა და შენახვის ხარჯების აუთვისებლობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,1 %

ქვეპროგრამის - ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 398,7 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 335,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია „გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF“-ის მიერ, საგრანტო ხელშეკრულების თანახმად.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლასა და სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ცენტრები აღიჭურვა სასწავლო-საგანმანათლებლო ტექნიკითა და ინვენტარით თანხით 142,4 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორისა და ასისტენტის შრომის ანაზღაურებაზე 25,2 ათასი ლარი.

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისა და სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქობულეთის N3 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების ცენტრების ფუნქციონირებისათვის გაწეულია 139,8 ათასი ლარი.

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლისა და სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქობულეთის N3 საჯარო სკოლის მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალის მომზადება/დატრენინგების მიზნით გაწეულია ხარჯი 28,0 ათასი ლარი.

აუთვისებლობა ძირითად გამოწვეულია, იმით რომ ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო მაისის თვიდან საპილოტო რეჟიმში, კვების შეთავაზება კი დაიგეგმა ოქტომბრის თვიდან. ასევე ოფისის მუხლში შექმნილი ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,1 %

პროგრამა - ზოგადი განათლება მოიცავს ორ ქვეპროგრამას

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 357,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 187,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2023 წლისათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 17 პედაგოგი, რაზეც გაწეულია 146,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „საგნების გაძლიერებული სწავლების“ ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გაძლიერებული სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში. გაწეულია ხარჯი 19,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა წარმატებულ მასწავლებლებთან შეხვედრა და გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო (2 მასწავლებელი), სულ გაწეულია ხარჯი 12,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე გადამზადდა ორი პედაგოგი პროფესიული განვითარების მიზნით თანხით 9,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ მასწავლებლის სახელფასო დანამატი გაიცა 17 მასწავლებელზე, ნაცვლად 30 მასწავლებლისა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 52,5 %

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 676,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 546,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 2022 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით 8 ცალი სმარტ საათი თანხით 3,0 ათასი ლარი. ასევე 2022 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით შეძენილია 101 ცალი

პლანშეტური კომპიუტერი (ტაბლეტი) და 38 ცალი პორტაბელური კომპიუტერი, დაიბეჭდა დიპლომები და სიგელები, გაწეულია ხარჯი 97,1 ათასი ლარი.

განხორციელდა კონკურსების ორგანიზება - ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნების კონკურსი, ესეების კონკურსი, „სპორტული შეჯიბრი“, საგნობრივი ოლიმპიადა, კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის - სულ გაწეულია ხარჯი 92,7 ათასი ლარი.

დაფინანსდა 21 სასკოლო ბიბლიოთეკის ინიციატივა თანხით 50,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა 23 სასკოლო კლუბის ინიციატივა თანხით 39,9 ათასი ლარი.

მაღალმთიანი სკოლების წარმატებული მოსწავლეებისათვის განხორციელდა შემეცნებითი ტურები თანხით 30,1 ათასი ლარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 195 მოსწავლემ.

ორგანიზება გაეწია პოლონელი მოსწავლეების ერთკვირიან ვიზიტს თანხით 42,1 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია ქართველი მოსწავლეების ერთკვირიან ვიზიტს პოლონეთში თანხით 19,7 ათასი ლარი.

ორგანიზება გაეწია 6 საზაფხულო სკოლის ორგანიზებას თანხით 172,3 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია, იმით რომ სასკოლო ბიბლიოთეკების პროექტები დაუბრუნდა სკოლებს შემდგომი დამუშავების მიზნით, აგრეთვე საზაფხულო სკოლების და საგანმანათლებლო შემოქმედებითი ღონისძიებების ნაწილში წარმოიქმნა ეკონომია ტენდერის ხარჯზე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,9 %

პროგრამა - პროფესიული და უმაღლესი განათლება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1560,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1248,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 954 სტუდენტის სწავლება თანხით 1 005,4 ათასი ლარი.

70% - 100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებულია 70% - 100% გრანტის მფლობელი 131 პირველი კურსის სტუდენტი თანხით 193,0 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების 76 წარჩინებული სტუდენტი, რაზეც გაწეულია 47,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია ღონისძიების მხაედაჭერის ხარჯი 2,2 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: ქვეპროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ სწავლის დაფინანსების განაცხადები მიიღება წელიწადში ორჯერ, პირველი ეტაპი - თებერვალში და მეორე ეტაპი - აგვისტოში. პირველ ეტაპზე არ დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,0%

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს შეადგენს 380,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 358,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ერთი საერთაშორისო კონფერენცია - ადრეული განათლება და ზრუნვა თანხით 44,1 ათასი ლარი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 100 საერთაშორისო და ადგილობრივი მოხსენება, პრესკონფერენციის ღონისძებებს დაესწრო 180 ადრეული განათლების სპეციალისტი. დაიბეჭდა კონფერენციის კრებული.

დაფინანსდა 12 აპლიკანტის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა თანხით 29,8 ათასი ლარი;

ღონისძების ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსდა 12 აპლიკანტი თანხით 29,8 ათასი ლარი.

დაფინანსდა 5 სეზონური სკოლის ორგანიზება თანხით 61,5 ათასი ლარი, დაფინანსდა 7 კონფერენცია თანხით 107,6 ათასი ლარი. დაფინანსდა 7 აპლიკანტის უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა თანხით 58,9 ათასი ლარი.

ღონისძიება „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია, რაზეც გაიწია 26,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,2%

ქვეპროგრამის - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 43,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 43,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 30 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) მიმართულებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 17 სტუდენტის ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია, რომლებიც სწავლობენ საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

აკრედიტებულ საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართველოლოგიის მიმართულებით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100 %

ქვეპროგრამის - სწავლა საზღვარგარეთ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 275,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 187,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 88 სტუდენტის სწავლა საზღვარგარეთ, თანხით 1 176,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში ორგანიზება გაეწია სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრებს თანხით 11,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 93,1%

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 90,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 59,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსდა 4 უცხოელის სტაჟირება თანხით 23,0 ათასი ლარი. გაიგზავნა 6 სტაჟიორი საზღვარგარეთ თანხით 10,5 ათასი ლარი.

გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,8 ათასი ლარი.

ღონისძიების ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსებულია სტაჟიორისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება, საიმიჯო მასალების მომზადება და ბეჭდვა თანხით 9,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორს სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ რეგიონებიდან შემოთავაზებულმა კანდიდატებმა ვერ დააკმაყოფილეს სტაჟირებისათვის დამაკმაყოფილებელი კრიტერიუმები;

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,0 %

ქვეპროგრამის - პროფესიული განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 40,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 40,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „კვალიფიკაციის ამაღლება - სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“ ფარგლებში სსიპ ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ ახალ ტალღის და სსიპ ბათუმის პროფესიულ კოლეჯ ბლექსის 5 პედაგოგი გაემგზავრა გერმანიაში, რავენსბურგის პროფესიულ კოლეჯში, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. გაწეულია ხარჯი 25,0 ათასი ლარი. სსიპ ქობულეთის პროფესიულ კოლეჯ ახალ ტალღის და სსიპ

ბათუმის პროფესიულ კოლეჯ ბლექსის 10 პედაგოგმა გაიარა პროფესიული განვითარების ტრენინგი და აიმაღლა კვალიფიკაცია. გაწეულია ხარჯი 15,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2023 წელს კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაციის მიმართულებით ახორციელებს ოთხ პროგრამას.

პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 385,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 161,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო რეგიონში ხელოვნებისა და კულტურის 20 ღონისძიების ორგანიზების უზრუნველყოფას თანხით 572,0 ათასი ლარი:

1. თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება - 10,4 ათასი ლარი;

2. ფეხბურთში უეფას 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის გამართვასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების-კონცერტის ორგანიზება - 283,2 ათასი ლარი;

3. ღონისძიების - „XVIII საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის საღამო ბათუმში“ - ორგანიზება - 8,8 ათასი ლარი;

4. ბათუმში სახალხო დღესასწაულისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტის ორგანიზება - 18,5 ათასი ლარი;

5. პროექტის „ვხატავ და ვხატავ“ ორგანიზება - 2,4 ათასი ლარი;

6. ანსამბლ „ქართული ხმების“ ღონისძიების - „წუთისოფელი“ - ორგანიზება - 5,6 ათასი ლარი.

7. ფეხბურთში უეფას 21-წლამდე ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრების ქ. ბათუმში გამართვასთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზება - 62,0 ათასი ლარი;

8. ღონისძიების - „ქართული თეატრის ამბავი ანუ...“ ორგანიზება - 23,7 ათასი ლარი;

9. პროექტის - „სამბა პროჯექთ ჯორჯია“ - ორგანიზება - 36,9 ათასი ლარი;

10. „დავით არჩვაძის სოლო კონცერტის“ ორგანიზება - 8,3 ათასი ლარი;

11. „არჩილ გოგიტიძის სოლო კონცერტის“ ორგანიზება - 8,2 ათასი ლარი.

12. „ახალგაზრდა კომპოზიტორთა ქართულენოვანი სიმღერების ფესტივალის საზაფხულო კონცერტი „ჰიტერატურა“ – 6,6 ათასი ლარი;

13. ლიტერატურული კონკურსი „პეგასი“ - 8,0 ათასი ლარი;

14. „ქართულ-პოლონური კულტურული ფესტივალი“ - 19,0 ათასი ლარი;

15.„სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლის თეატრალური დასის „გამოძახილი ხიხანიდან“ ქ. თბილისში გასტროლის ორგანიზება - 7,8 ათასი ლარი;

16. დევნილ მხატვართა საქველმოქმედო ღონისძიება - 6,0 ათასი ლარი;

17. ქალაქური სიმღერის ფესტივალი - 7,5 ათასი ლარი;

18. ახალგაზრდული სტუდენტური ბენდების კონცერტი - 30,0 ათასი ლარი;

19. სასკოლო ბენდების ფესტივალი - 12,2 ათასი ლარი;

20. წარმატებული ხელოვანის შესარჩევი კონკურსის დაჯილდოების ღონისძიებაში მონაწილეთა სასტუმროში განთავსების უზრუნველყოფა - 6,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი ფესტივალების საგრანტო კონკურსი, გამოვლინდა 10 გამარჯვებული ფესტივალი, რომელთა საერთო ღირებულებაც შეადგენს 539,8 ათას ლარს. აღნიშნული ფესტივალებიდან განხორციელდა ანგარიშსწორება თანხით 533,4 ათასი ლარის ოდენობით:

1. „შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ – 80,0 ათასი ლარი;

2. „რადიო ფესტივალი მუსიკა ბათუმიდან“ – 39,8 ათასი ლარი;

3. „საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კართან“ – 40,0 ათასი ლარი;

4. „Land Art Festival“ – 58,2 ათასი ლარი ;

5. „შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალის „ბათუმის რაფსოდია“ ფარგლებში „ოპერის ოქროს ხმის“ ვოკალის აკადემიის კვირეული“ – 67,5 ათასი ლარი;

6. „ბათუმის შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი“ – 80,0 ათასი ლარი;

7. „საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალი „პირველი ავტოგრაფი“ – 70,0 ათასი ლარი;

8. „საერთაშორისო ფესტივალი ოქროს თვალი“ – 45,0 ათასი ლარი;

9. „ანიმაციური ფილმების მე-15 საერთაშორისო ფესტივალი თოფუზი“ – 40,0 ათასი ლარი;

10. „მოგზაურობა ოპერის სამყაროში 3“ – 12,9 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აჭარის რეგიონში არსებულ თეატრებში მოღვაწე წარმატებული ხელოვანების დაჯილდოება ა(ა)იპ აჭარის თეატრალური საზოგადოების მიერ გამოვლენილ ნომინაციებში - 6,4 ათასი ლარი, კონკურსის „წარმატებული ხელოვანი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება - 39,4 ათასი ლარი, ანასტასია ვასაძის დაჯილდოება - 1,2 ათასი ლარი;

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 9,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია სატენდერო პროცედურებისა და საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 83,8 %

ქვეპროგრამის - ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 198,8 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საგრანტო წესით გამოვლენილია 22 პროექტი, საერთო ღირებულებით 199,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

პროგრამის - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 476,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 404,8 ათას ლარს.

ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა თანხით 54,5 ათასი ლარი, სადაც მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედმა სახელოვნებო სკოლების, საჯარო და კერძო სკოლების და კულტურის ცენტრების საგუნდო და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. სულ 83 ფოლკლორული ანსამბლი და 2 061 შემსრულებელი. ოლიმპიადა წარიმართა ეტაპობრივად. პირველი ეტაპი ჩატარდა მუნიციპალიტეტებში. მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი, გამარჯვებული ანსამბლების გალა კონცერტი და დაჯილდოების ცერემონიალი ჩატარდა 2023 წლის 2 ივნისს სსიპ - ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში. გამოვლინდა 14 გამარჯვებული.

ღონისძიების ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ფარგლებში განხორციედა 8 ღონისიება თანხით 178,1 ათასი ლარი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და თურქეთის რესპუბლიკის ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციას შორის კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში აჭარის რეგონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადაზე სტუმრად იმყოფებოდა ინეგოლის ქართული ფოლკლორული ანსამბლი „ჩვენებურები“ და ასოციაციის წარმომადგენლები, ანსამბლი „ჩვენებურების“ მიღებაზე გაწეულია 19,0 ათასი ლარი;
2. ბათუმში სუხიშვილების კონცერტის ორგანიზება - 23,1 ათასი ლარი;

3. ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორულ ანსამბლ „ბეთლემის“ წევრთა ტრანსპორტირება რუმინეთში - 18,0 ათასი ლარი;

4. ა(ა)იპ შუხევის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის „ზე-კართან“ წევრთა ტრანსპორტირება ბულგარეთის რესპუბლიკის ქალაქ პლოვდივში - 14,7 ათასი ლარი;

5. ბათუმში ანსამბლ „აფხაზეთის“ გასტროლი - 14,0 ათასი ლარი;

6. ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლ „არგინეთის“ გასტროლი თურქეთში - 9,9 ათასი ლარი.

7. შუახევის მუნიციპალიტეტში ფესტივალის ,,შემოდგომა მთაში“ ორგანიზება - 49,9 ათასი ლარი.

8. ა(ა)იპ გურამ თამაზაშვილის სახელობის ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „მხედრულის“ წევრთა ტრანსპორტირება და სასტუმრო მომსახურეობა ხორვატიაში - 29,5 ათასი ლარი.

განხორციელდა სასცენო სამოსისა და აქსესუარების შეძენა თანხით 37,3 ათასი ლარი. ასევე მუსიკალური ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის ფარგლებში განხორციელდა მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა კულტურის ცენტრებისათვის -11,5 ათასი ლარი და ანსამბლ „ჩვენებურებისთვის“ დოლი - 2,9 ათასი ლარი.

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლებისთვის საკონკურსო პირობების თანახმად მიმდინარეობს სასცენო სამოსის ეტაპობრივი მოწოდება, 3 ანსამბლს გადაეცა სასცენო სამოსი ღირებულებით - 51,3 ათასი ლარი, ავანსად გაცემულია - 37,8 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, სამოსის მოწოდება დასრულდება 2024 წელს.

ქორეოგრაფებისა და ლოტბარებისთვის ჩატარდა ტრენინგები, სადაც მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ბენეფიციარმა, ხარჯი გაწეულია 13,4 ათასი ლარი.

გაწეულია პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 18,0 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 85,0 %

პროგრამის - კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 220,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 189,1 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 11 ღონისძიება თანხით 118,6 ათასი ლარი, კერძოდ,

1. პროექტის - „მუსიკა, როგორც ენა კულტურათა შორის“ - ფარგლებში გერმანიაში დაგეგმილ კონცერტებში ა(ა)იპ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის წარმომადგენლების მონაწილეობის მიზნით საჰაერო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა - 10,4 ათასი ლარი;

2. საფრანგეთში, ქ. პარიზში ანიერ-სიურ-სენის კონსერვატორიაში დაგეგმილ კონცერტში ა(ა)იპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლისა და ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების მონაწილეობის უზრუნველყოფა - 17,6 ათასი ლარი;

3. ა(ა)იპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების ქალაქ რიგაში დაგეგმილ საერთაშორისო ქორეოგრაფიულ კონკურსში მონაწილეობის უზრუნველყოფა - 40,0 ათასი ლარი;

4. პროექტის - „ქართული საოპერო მუსიკის დღეები ვენეციაში“ - მონაწილეთა საჰაერო ტრანსპორტირებითა და სასტუმროში განთავსებით უზრუნველყოფა - 11,8 ათასი ლარი;

5. ხელოვანის - ლაშა კუკულაძის - საერთაშორისო ღონისძიებაში „Honey Loops (ჰანი ლუპს) Berlin“ მონაწილეობის უზრუნველყოფა - 2,2 ათასი ლარი.

6. ფოტოგრაფიული მოგზაურობა - ფოტოების დიალოგი - 4,9 ათასი ლარი.

7. „ავსტრიაში ქალაქ ვენაში მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმსა და პლენერ-გამოფენაში მონაწილეობა“ - 2,5 ათასი ლარი;

8. „ბათუმელი მხატვრების მონაწილეობა საერთაშორისო პლენერში ლატვიაში ქალაქ რიგაში“ - 1,9 ათასი ლარი;

9. „ნეაპოლში დაგეგმილ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებაში ქართველი ხელოვანების მონაწილეობა“ - 16,0 ათასი ლარი;

10. ღონისძიების - ,,შშმ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა'' - მონაწილეთა სახმელეთო ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება და კვებით უზრუნველყოფა - 8,5 ათასი ლარი;

11. თათია კობალაძის მონაწილეობა სატელევიზიო შოუში „America's Got Talent“ - 2,8 ათასი ლარი.

სახელოვნებო განათლების, თეატრალური საქმიანობისა და კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 5 პროექტი თანხით 70,5 ათასი ლარის ოდენობით:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა 2 პროექტი: ა(ა)იპ მელიტონ ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის ანსამბლ „ჰანგების“ ხელოვნების ფესტივალში - „ფანტელი“ მონაწილეობის უზრუნველყოფის ორგანიზება" – 9,5 ათასი ლარი; რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის ვოკალურ-ინსტრუმენტული ბენდის „სკოლის მეგობრები“ - სოლო კონცერტის ორგანიზება - 4,6 ათასი ლარი;

თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა 1 პროექტი - „თეატრის გააქტიურება და პოპულარიზაცია“ თანხით 16,4 ათასი ლრი.

კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც გამარჯვებულად

გამოვლინდა და განხორციელდა 2 პროექტი: დოკუმენტური ფილმი „ალექსანდრე (ალეკო) აბაშიძე“ - თანხით 20,0 ათასი ლარი; დოკუმენტური ფილმი „დავით მამულაძე“ – 20,0 ათასი ლარი;

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სატენდერო პროცედურებისა და საგრანტო კონკურსის ფარგლებში დარჩენილი ეკონომიით.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 86,0 %

პროგრამის - კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 142,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 101,6 ათას ლარს.

პროგრამა ითვალისწინებს კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კერძოდ, სახელოვნებო სკოლის მშენებლობას (სანებართვო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაოები, ტექნიკური ზედამხედველობა, ექსპერტიზა), ერთი კულტურის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას და ერთი კულტურის დაწესებულების ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვას, სარეპეტიციო სივრცის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას.

მიმდინარეობს სახელოვნებო სკოლის პროექტის შეთანხმება.

შეძენილია ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრისთვის გახმოვანების აპარატურა (კომპლექტი) თანხით 101,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერიდან მიღებული ეკონომიით და ასევე ვერ მოხდა პროგრამის კოორდინატორის აყვანა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 71,5 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2023 წელს ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, კულტურული მემკვიდრეობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 120,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 678,4 ათას ლარს.

ჩატარდა 5 არქეოლოგიური ექსპედიცია (პეტრას ციხის, გონიოს ციხის, ფიჭვნარის, სატეხიას, ჯაბნიძეების არქეოლოგიური ექსპედიცია) თანხით 159,6 ათასი ლარი.

საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ექვსი ღონისძიება: ლიტერატურული საღამო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საიმიჯო რგოლის პრეზენტაცია, რომაული ფესტივალი, ფოტოგამოფენა, ძეგლების საერთაშორისო

დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია და მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაწეულია ხარჯი 196,2 ათასი ლარი.

შეძენილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების 8 პროექტი თანხით 181,9 ათასი ლარი: ზ. გამსახურდიას ქ. N9 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, შ. რუსთაველის ქ. N51 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, მ. აბაშიძის ქ. N43 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, ხ. ახვლედიანის ქ. N15 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, ზ. გამსახურდიას ქ. N36 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, ლ. ასათიანის ქ. N7 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი, მ. აბაშიძის ქ. N29 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი და ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი.

ღონისძიების მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურით მოწყობის ფარგლებში გონიოს ციხის შესასვლელთან დაიდგა თემატური ბრინჯაოს 2 ქანდაკება. მიმდინარეობს პეტრასა და გონიოს სამუზეუმო სივრცეების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ გაწეულია 415,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ძეგლების პოპულარიზაცია და მარკეტინგული მხარდაჭერის ფარგლებში დაიბეჭდა 5 სახეობის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საინფორმაციო მასალები თანხით 42,7 ათასი ლარი.

ღონისძიების აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა ქ. ბათუმში დ. თავდადებული ქ. N36, ვ. ფშაველას ქ. N8-9, მ. აბაშიძის ქ. N11, ავგიას ქ. N50, ა. წერეთლის ქ. N1 და მელაშვილის ქ. N1 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით 98,1 ათასი ლარი.

აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაციი ფარგლებში დასრულდა ქ. ბათუმში მდებარე ექვსი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (შ. რუსთავლის ქ. N7და N31, დ. თავდადებულის ქ. N10, 26 მაისის ქ. N37, ჩხერის ხიდისა და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია) სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარეობს კ. გამსახურდიას ქ. N9, მელაშვილის ქ. N7 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია და ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხინოს ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გაწეულია ხარჯი 1 584,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორი თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

ღონისძიების მუზეუმნაკრძალების ინფრასტრუქტურით მოწყობის ფარგლებში დაგეგმილი იყო გონიოსა და პეტრას სამუზეუმო სივრცეების განახლება. სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე აუცილებელი გახდა საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება, რის

გამოც ვერ მოხერხდა გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხინოს ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება კომპანიის მიერ 2023 წელს ვერ მოხერხდა, რადგან პროექტში საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა, ამავდროულად არსებულმა კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუშალა სამუშაოების გეგმა-გრაფიკით განხორციელებას, რის გამოც ხელშეკრულება გახდა მრავალწლიანი.

ქალაქ ბათუმში კ. გამსახურდიას ქ. N9 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ქ. ბათუმში მელაშვილის ქ. N7 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება კლიმატური პირობების გამო ვერ მოხერხდა 2023 წელს, რის გამოც ხელშეკრულება გახდა მრავალწლიანი, კომპანიის მიერ 2023 წელს მოხერხდა მხოლოდ ნაწილობრივი სამუშაოების შესრულება.

ასევე სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის ჩატარებული ელექტრონული ტენდერებიდან წარმოიქმნა ეკონომია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 85,8 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით სპორტის დეპარტამენტი 2023 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, სპორტის სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროგრამას - სპორტის ხელშეწყობა.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ექვსი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 383,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 266,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო თასი-ს ჩატარება ფარიკაობაში, მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში ჩატარდა „WTT Youth Contender Batumi 2023“, ასევე დაფინანსდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი 34 ფედერაციის 446 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 3 266,4 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,6 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 956,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 751,1 ათას ლარს.

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 447 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თანხით 695,0 ათასი ლარი.

გაწეული იქნა 56,1 ათასი ლარი 2022 წლის დავალიანების დასაფარად, კერძოდ, 94 გამარჯვებულ სპორტსმენტსა და მწვრთნელზე.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატები ამოღებულ იქნა რიგი ეროვნული ფედერაციების კალენდარული გეგმიდან, რამაც გამოიწვია თანხის ნაწილობრივი აუთვისებლობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 78,5 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 894,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 841,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 71 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ხელბურთში, წყალბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, ინდორ ჰოკეიში, ძიუდოში, ძალოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მშვილდოსნობასა და ფრენბურთში. ღონისძიებების პროცესში მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზაციებისათვის საჭირო დარბაზის იჯარით. ჩასატარებელი ღონისძიებების ზედამხედველობისა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით თითოეული სახეობების მიხედვით სპორტის დეპარტამენტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა 11 კოორდინატორი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,1%

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 212,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 204,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2023 წლის განმავლობაში ყოველთვიური 212,50 ლარიანი დახმარება გაეწია 72 ბენეფიციარს (183,6 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 31 ბენეფიციარს - სულ თანხით 18,5 ათასი ლარი. 2 სპორტის დამსახურებულ მუშაკის გარდაცვალების გამო მათ ოჯახს გაეწია ერთჯერადი დახმარება, სულ გაწეულია 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,1 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთნელთა სტიპენდიები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 144,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციების სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის 74 წარმატებულ სპორტსმენზე და მათ პირად მწვრთნელზე გაწეული იქნა მატერიალური წახალისება (სტიპენდია) 144,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,6 %

ქვეპროგრამის - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 720,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 663,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მასობრივი სპორტის ღონისძიებები, კერძოდ: ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირები, ფესტივალები, ჩემპიონატები, სასკოლო ლიგა, პირველობები სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის სპორტსმენთა და მოყვარულთა შორის, ასევე გადამზადდა აჭარაში მოღვაწე მწვრთნელები და ფედერაციების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი 8 ფედერაციის 72 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 663,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,2 %

სსიპ „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრი“ 2023 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას, აქედან „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის“ პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 4 პროგრამას.

პროგრამის - არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - ლაშქრობა და ბანაკები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 294,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 280,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შვიდი შემეცნებითი ტური შემდეგი მიმართულებებით: სვანეთი (ორ ნაკადად), სამეგრელო-იმერეთი (ორ ნაკადად), ტაო კლარჯეთი, ყაზბეგი და კაბადოკია, ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 140-მა ახალგაზრდამ. საკასო ხარჯი შეადგენს 98,6 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ლაშქრობა ექვსი მიმართულებებით: გომის მთა ბახმარო-22 მონაწილე, ტობა-ვარჩხილი-17 მონაწილე, ხვამლის მთა -22 მონაწილე, ხიხანის ციხე-მწვანე ტბა 22 მონაწილე, მტირალას დაცული ტერიტორია -22 მონაწილე, სამცხე-ჯავახეთი-22 მონაწილე. საკასო ხარჯი შეადგენს 64,3 ათასი ლარს.

ეკო ბანაკი - ღონისძიების ფარგლებში ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. აღნიშნულ აქტივობაში ბენეფიციარებმა მიიღეს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე გაეცნეს ეკოლოგიის მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების გზებსა და მეთოდებს. სასწავლო მოდული დავტირთული იყო როგორც თეორიული, ასევე საველე დაკვირვებებით. საკასო ხარჯი შეადგენს 40,0 ათას ლარს.

ღონისძიების „გახდი ლიდერი“ ფარგლებში განხორციელდა გასვლითი საბანაკე ტიპის ღონისძიება, რომელიც განხორციელდა დეკემბრის თვეში ხულოს მუნიციპალიტეტში, კერძოდ კურორტ გოდერძიზე. ღონისძიება ჩატარდა ორ ნაკადად 14-17 წლის ჩათვლით და 18 დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებისათვის, ღონისძიებაში ჯამში 50 ახალგაზრდა ჩაერთო, ასევე მათ გადაეცათ ბრენდირებული ნივთები, საკასო ხარჯი შეადგენს 67,8 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 9,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,3 %

ქვეპროგრამის - გართობა და შემეცნება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 341,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 314,1 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ღონისძიების ორგანიზება. ღონისძიებაში ჩართული იყო აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. გაიმართა ახალგაზრდული კონგრესი, ასევე ფესტივალი. ღონისძიებაში ჩართული იყო 3500 ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 149,7 ათას ლარს.

ჩატარდა პეინტბოლ ჩემპიონატი, რომელშიც ჩართული იყო აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები. ჩატარდა როგორც მუნიციპალური ჩემპიონატები, აგრეთვე აჭარის რეგიონული ჩემპიონატი. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასები, სიგელები, სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები. სულ ჩართული იყო 250 ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 34,1 ათას ლარს.

ჩატარდა სტუდენტური ფესტივალი, რომელშიც ჩართული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმართველობების წარმომადგენლები და სტუდენტები. სტუდენტები მუშაობდნენ ახალ პროექტებზე ხოლო ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო დახურვის ცერემონიალს, არაფორმალური გარემოს შექმნას, ჯამში ღონისძებაში 300 ახალგაზრდა იყო ჩართული. საკასო ხარჯი შეადგენს 63,5 ათას ლარს.

ჩატარდა აჭარის რეგიონალური ლიგა, რომლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები მუნიციპალიტეტებში (ხულო, შუახევი, ქედა ხელვაჩაური ქობულეთი, ბათუმი) მცხოვრებ ახალგაზრდებთან, რის შემდგომაც ახალგაზრდები დაკომპლექტდნენ მუნიციპალიტეტების წარმომადგენელ ჯგუფებად. ახალგაზრდებს ჩაუტარდათ მასტერკლასები სასცენო ხელოვნებისა და იუმორისტული პიესების წერის მიმართულებით. გაიმართა როგორც მუნიციპალური, ასევე რეგიონული ჩემპიონატები.

ღონისძიებაში ჩართული იყო 100-მდე ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 50,0 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 16,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,9 %

პროგრამის - ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - კონფერენციები და ფორუმები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 286,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი საკასო ხარჯი 249,5 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერის“ ფარგლებში დაფინანსდა 54 ბენეფიციარი 69,4 ათასი ლარით. ისინი გაემგზავრნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ: ჩეხეთი, ინდოეთი, იტალია, პორტუგალია, დანია, პოლონეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, სლოვენია, საფრანგეთი, უნგრეთი, ესტონეთი, შვედეთი.

ღონისძება „საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი“ ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ დეპარტამენტთან და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს თანამშრომლობით გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-29 წლის ჩათვლით აჭარის ავტომომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა საქართველოს მოქალაქეებმა, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუნლიკის ტერიოტიაზე არსებული აკრედიტირებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებმა, მოსწავლეებმა და უცხოელმა ახალგაზრდებმა, რამაც ხელი შეუწყო მათ შორის კულტურულ-შემეცნებითი და ინტელექტუალური ღირებულებების გაცვლას. ღონისძების ფარგლებში ასევე ჩატარდა სემინარები, მასტერკლასები და პანელური შეხვედრები. გარდა ფორმალური ნაწილისა, დრო ასევე დაეთმო არაფორმალური გარემოს შექმნას. მონაწილეების შერჩევა მოხდა სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე, ღონისძიებაში ჩაერთო 50 ახალგაზრდა. საკასო ხარჯი შეადგენს 89,6 ათას ლარს.

ღონისძიების „ახალგაზრდული კონფერენცია“ ფარგლებში განხორციელდა აჭარის მასშტაბით მცხოვრები ახალგაზრდების, მათ შორის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის სხვადასხვა პროექტებში დაფინანსებული ახალგაზრდების თავმოყრა ერთ სივრცეში, მათთვის საჯარო და სამოტივაციო ხასიათის ლექციების ორგანიზება, აგრეთვე მოეწყო პანელური შეხვედრა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და მათგან მიეღოთ დეტალური ინფორმაცია კონფერენციის მიმდინარე საკითხებზე. ღონისძიებაში ჩართული იყო 500-მდე ახალგაზრდა. ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 28,0 ათას ლარს.

ღონისძება „მუნიციპალური ფორუმი“ გულისხმობს აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი ფორუმის ორგანიზებას. ფორუმი ჩატარდა 3 დღის განმავლობაში, პირველ ეტაპზე ჩატარდა ლექცია-

სემინარები, რომელსაც წარუძღვნენ სერთიფიცირებული ტრენერები და მოწვეული სტუმრები, მეორე ეტაპზე მონაწილეებს საშუალება მიეცათ ემსჯელათ ახალგაზრდების დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის შესახებ. მომხსენებლები შეირჩნენ მათი კვალიფიკაციის და გამოცდილების მიხედვით. აღნიშნულ ღონისძებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ აკრედიტირებულ უმაღლეს, პროფესიულ სასწავლებლებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რეგისტრირებულ 14-29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს. ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 45,7 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 16,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ღონისძიების „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა“ ბენეფიციართა დაბალი მომართვიანობის გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,0 %

ქვეპროგრამის - მოხალისეობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 79,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 76,2 ათასი ლარი.

YRC კლუბი - ღონისძიების ფარგლებში შეიქმნა მოხალისეთა კლუბი, რომელშიც გაწევრიანება შეეძლოთ 16-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე 14 და 15 წლის ახალგაზრდებს - მშობლის თანხმობის საფუძველზე. ისინი შეირჩნენ სპეციალურად შექმნილი სააპლიკაციო ფორმის მეშვეობით. ახალგაზრდები აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა მოხალისეობრივი აქტივობების დაგეგმა-ორგანზება და განხორციელების პროცესში. აღნიშნული პროექტი უზრუნველყოფდა ახალგაზრდების გააქტიურებასა და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას. ასევე მოხდა მოხალისეების გადამზადება და საჭიროებისამებრ მათი ეკიპირება. აქტიურ მოხალისეებს გადაეცათ წამახალისებელი და სიმბოლური პრიზები. ღონისძიებაში ჩართული იყო 93 ახალგაზრდა. ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 33,0 ათას ლარს.

ღონისძიების „შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობა“ ფარგლებში განხორციელდა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით სემინარები და მასტერკლასები. შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ასევე გამოიცა მრავალპროფილური საინფორმაციო კრებული აუდიო ვერსიის თანხლებით, რომელშიც თავმოყრილია შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული საკითხები, როგორებიცაა ტერმინის წარმოშობა, ევროპული გამოცდილება, ინკლუზიური განათლება, როგორც ქართული ასევე უცხოურ წერილობით წყაროებზე დაფუძნებული ინფორმაციები, სამოტივაციო შეხვედრები. ღონისძიებაში ჩართული იყო - 180 ახალგაზრდა. ღონისძიების საკასო ხარჯი შეადგენს 30,0 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 13,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,2 %

პროგრამის - კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - კარიერული განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 83,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 75,8 ათასი ლარი.

ღონისძიება „კარიერული განვითარების მხარდაჭერა“ - გულისხმობს აჭარის ტერირორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ანაზღაურებად სტაჟირებას, ახალგაზრდების დასაქმების მიზნით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის, მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სხვადასხვა კერძო კომპანიებთან. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდებს მიეცათ შანსი მათთვის საინტერესო მიმართულებით გაევლოთ ანაზღაურებადი სტაჟირება, ანაზღაურება ხდებოდა როგორც დამსაქმებლის ,ასევე ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მხრიდან, ჯამში 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულ სტაჟირების პროგრამაში გასულ წელს 23 ახალგაზრდა ჩაერთო. გაწეულია ხარჯი 35,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა 43-მა ახალგაზრდამ, რომელთაც სასურველი სასწავლო კურსის თაობაზე წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე აუნაზღაურდათ კონკრეტული სასერტიფიკაციო კურსის გადასახადი. გაწეულია ხარჯი 27,4 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 13,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 91,1 %

ქვეპროგრამის - ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 163,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 155,0 ათასი ლარს.

ღონისძიებაში - თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა მონაწილეობა მიიღო 18-დან 29 წლის ჩათვლით (აჭარის ადმინისტრაციულ ტერიოტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ავტორიზებული უმაღლესი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და მოსწავლეები) ახალგაზრდებმა. ღონისძიება ითვალისწინებდა აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით, თავისუფალი ინიციატივების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 3,0 ათას ლარს. პროექტის ფარგლებში შემოვიდა 27 საპროექტო

განაცხადი, დაფინანება მოიპოვა 18-მა პროექტმა. ღონისძიების საკასო ხარჯია 48,2 ათასი ლარი.

ღონისძიების - ახალგაზრდა სტარტაპერების მხარდაჭერა ფარგლებში ადგილობრივი სტარტ-აპერების მხარდაჭერისა და ახალგაზრდული ეკონომიკის სტიმულირებისათვის დაფინანსდა 18-29 წლის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. ღონისძიება განხორციელდა რამდენიმე ეტაპად, 40-მდე ახალგაზრდამ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაიარა ტრენინგ კურსი პრე-აქსელერაციის მიმართულებით, მეორე ეტაპზე საპროექტო განცხადებების მიღება განხორციელდა და გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი. პროექტის ბიუჯეტის მაქსიმალური თანხა შეადგენდა 15,0 ათას ლარს. ღონისძიების საკასო ხარჯია 101,9 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 4,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,9 %

პროგრამის - ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - ინტელექტუალური თამაშები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 167,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 162,7 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიებების - რა? სად? როდის? ფარგლებში ჩატარდა ინტელექტუალური თამაშების - რა? სად? როდის? საგაზაფხულო და საზაფხულო ჩემპიონატები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო როგორც აჭარის, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეულმა გუნდებმა. ჯამში ჩართული იყო 20 გუნდი. ბათუმის რეგულარული სასკოლო ჩემპიონატის და ბათუმის რეგულარული სტუდენტური ჩემპიონატის ფინალი შედგა და წლის განმავლობაში ღონისძებაში მონაწილეობა მიიღო 1 554 ახალგაზრდამ. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ წიგნები. ხარჯი შეადგენს 50,0 ათას ლარს.

ღონისძიება - დებატ კლუბი განხორციელდა ორ ნაკადად, რომლის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მოეწყო დებატების ტექნიკისა და დებატების ტურნირის გასვლითი ბანაკი არასრულწლოვანთათვის, სკოლის მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისთვის, ახალგაზრდებმა არაფორმალურ გარემოში შეისწავლეს დებატების ტექნიკა და სპეციფიკა. დებატებს წარუძღვნენ სერთიფიცირებული ტრენერები. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩაერთო 50 ახალგაზრდა. ხარჯი შეადგენს 55,5 ათას ლარს.

ღონისძიების - სითი გეიმი ფარგლებში განხორციელდა ინტელექტუალური, შემეცნებითი და სათავგადასავლო თამაში ქალაქ ბათუმის მასშტაბით, რომელშიც ჩართული იყო 55 გუნდი და 300-მდე ახალგაზრდა. ღონისძიების ფარგლებში საუკეთესო შედეგების მქონე სამ გუნდს გადაეცა ვაუჩერები. ხარჯი შეადგენს 40,4 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0 %

ქვეპროგრამის - კულტურა და ხელოვნება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 137,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 121,6 ათასი ლარი.

ღონისძიების - ლიტერატურული ჰაბი ფარგლებში განხორციელდა მასტერკლასები და ტრენინგები ლიტერატურის მიმართულებით, თითოეულ მუნიციპალიტეტში 2 დღის განმავლობაში, რომელშიც ჩართული იყო 100 ახალგაზრდა. ღონისძიების ბოლო ეტაპზე, კონკურსის შედეგად შერჩეული 62 მონაწილის ნამუშევარი გამოიცა წიგნად. ხარჯი შეადგენს 33,3 ათას ლარს.

ღონისძიების - გაასწორე ფოკუსი ფარგლებში მოეწყო გასვლითი ბანაკი ფოტოგრაფიის მიმართულებით, რომლის დროსაც მონაწილე პირებს ჩაუტარდათ მრავალფეროვანი მასტერ-კლასები ფოტოხელოვნების შესახებ. ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, გამოევლინათ თავიანთი უნარები და შეესწავლათ ფოტოფრაფია პროფესიულ დონეზე. ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. ხარჯი შეადგენს 35,5 ათას ლარს.

ღონისძიების - ისტორიის კვალდაკვალ ფარგლებში მოეწყო 5 დღიანი საბანაკე ტიპის აქტივობა აჭარის ტერიტორიაზე, სადაც ჩართული იყო 14-დან 29 წლის ჩათვლით აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდები. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ, საკასო ხარჯი შეადგენს 37,2 ათას ლარს.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 15,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,4 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2023 წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 447,5 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 435,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ხელშეკრულებით აყვანილია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ხარჯი გაწეულია 409,6 ათასი ლარი.

შესყიდულია 10 ერთეული კომპიუტერული ტექნიკის კომპლექტი, ოცი ერთეული უწყვეტი კვების წყარო და ერთი ერთეული სკანერი თანხით 26,3 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,4 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2023 წელს ახორციელებს 8 პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ცხრა ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 7 888,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7 887,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 377 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 102, , ხოლო 275 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 638,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 637,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 173 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 108, ხოლო 65 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 350,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 348,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 5 802 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 852, ხოლო 1 950 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 062,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 055,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება (თანადაფინანსება), თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 100 პაციენტს, დღეისათვის მკურნალობა დასრულებული აქვს 92 პაციენტს, ხოლო 8 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 7 200,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 7 199,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 542 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 008, ხოლო 534 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 855,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 852,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 217 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 378, ხოლო 839 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 350,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 348,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 6 597 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 5 144, ხოლო 1 453 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 050,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 048,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 886 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 788, ხოლო 98 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 700,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 689,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 144 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 104, ხოლო 40 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 429,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 424,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების მერიების მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი სიების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია სულ 43 ექიმი და 46 ექთანი, ხოლო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 64 ექიმი და 63 ექთანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,8 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 330,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 320,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 565 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 455 ვაუჩერი, ხოლო 110 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 070,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 067,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 7 905 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 6 565 ვაუჩერი, ხოლო 1 340 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,8 %

ქვეპროგრამის - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 882,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 864,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 2 261 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 167 ვაუჩერი, ხოლო 94 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 305,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 246,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 8 354 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 8 309, ხოლო 45 ვაუჩერი გაუქმდა სხვადასხვა მიზეზის გამო, პაციენტებმა არ ჩაიტარეს მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,5 %

ქვეპროგრამის - სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 6,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 17 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 17 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,0 %

პროგრამა - მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 47,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 47,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 47 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 136,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 68 ახალშობილი ტყუპის ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,7 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 730,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6 617,5 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 6 82 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 4 472,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 665 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები 4 367,4 ათასი ლარი, ხოლო 1 020 ოჯახზე მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი 1 627,3 ათასი ლარი დაფინანსებულია სრულად, ასევე 109 ბენეფიცირის სხვადასხვა მომსახურეობაზე გამოყოფილი 630,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 106 ბენეფიციარი - 622,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად დაღუპულთა, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 193,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 193,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული და შშმ მეომრის ოჯახს (31 დედასა და მეუღლეს) ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 1,0 ათასი ლარი.

ომში დაღუპული და შშმ 27 მეომრის ოჯახს აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 6,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 104,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 98,4 ათას ლარს.

მატერიალური დახმარება გაეწია 17 მზრუნველობამოკლებულ პირს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,6 %

ქვეპროგრამის - შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 46,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 46,0 ათას ლარს.

ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობლებსა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა) 23 მოქალაქეს ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცა თითოეულს 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 242,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 238,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 286 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 268, რომლის საფუძველზეც გაიცა 291 აპარატი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,3 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 325,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 324,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 379 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 355.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,7 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 984,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 984,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 776 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 741.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

პროგრამის - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 897,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 897,8 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 82 ბენეფიციარს. 897,8 ათასი ლარით დაფინანსდა ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, განხორციელდა რეაბილიტაცია მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, მედიკამენტოზური მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 421,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 410,4 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართულია 74 ბენეფიციარი. 410,4 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა პრობლემების მქონე, მათ შორის მარტოხელა, მიუსაფარი და ძალადობაგანცდილი დედების და ბავშვების, თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება და სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,3 %

ქვეპროგრამის - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 723,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 723,7 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 106 ბენეფიციარს. 1 723,7 ათასი ლარით დაფინანსდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისის 24 ბენეფიციარის თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემოს, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 720,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 719,2 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 90 სახლის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 3 600,0 ათასი ლარი, სახლების ექსპერტიზისათვის გადახდილია 91,0 ათასი ლარი, ხოლო სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 28,2 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 367,3 ათას ლარს, საკასო შესრულება 2 337,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა:

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 1 372 ბავშვს, მათ შორის: ბათუმი - 910, ქობულეთი - 146, ხელვაჩაური - 167, ქედა - 45, შუახევი - 41, ხულო - 63. მ.შ საჭიროების მიხედვით რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა ჩაუტარდა-248 ბავშვს და ორთოპედის მე-2 კონსულტაცია -228 ბავშვს;

ბ) ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში:
საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა ანტენატალურ კომპონენტში ჩართული 3 283 ორსული, თითოეულ მათგანს ჩაუტარდა ფარისებრი ენდოკრინოლოგის კონსულტაცია,

განესაზღვრა თავისუფალი ჯირკვლის ექოსკოპია, თიროქსინისა და თირეოტროპული ჰორმონის დონე. ბათუმის მუნიციპალიტეტი - 3 132 ორსული, ქობულეთი -131 და ხულოს-20;

გ) სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა:
საანგარიშო პერიოდში შუა ყურის გამოკვლევა ანუ სმენის მეორეული სკრინინგი ჩაუტარდა 40 ბენეფიციარს (ქობულეთი - 23, ხელვაჩაური-7, ქედა-3, შუახევი-4 ხულო -3), მათ შორის ტვინის ღეროს სმენის მარტივი ტესტი ჩაუტარდა 6-ს, ტიმპანომეტრია-37 (შუა ყურის ინტაქტურობის დადგენა ტიმპანომეტრული გამოკვლევით);

დ) ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მართვის დაგეგმვის მიზნით ღონისძიებით ისარგებლა 450 ბენეფიციარმა, მ.შ: ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 450-ს, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 450-ს, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 450-ს, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა - 150-ს. ბათუმი-163, ქობულეთი-40, ხელვაჩაური - 144, ქედა-67, შუახევი-21, ხულო -15;

ე) აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:
ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 362 ბენეფიციარს (ბათუმი - 268, ქობულეთი - 51, ხელვაჩაური - 27, ქედა - 9, შუახევი - 6, ხულო - 1) და მ.შ ADOS ტესტი ჩაუტარდა - 290 ბენეფიციარს, ხოლო ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 349-ს.

ვ) C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა:
საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 17 403 ბენეფიციარს, მ.შ. C ჰეპატიტზე - 17 403, აივ ინფეციაზე- 17 403. C ჰეპატიტზე დადებითი - 106, აივ ინფექციაზე დადებითი -2. ტუბერკულოზზე საეჭვო პასუხი -4;

ზ) ორსულ და ლაქტაციის პერიოდში ქალებში, რისკ-ჯგუფს მიკუთვნებულ ბავშვებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა:

სისხლში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა ატომურ-აბსორბციული სპეტროფოტომეტრიის მეთოდის საშუალებით კვლევა ჩაუტარდა 16 272 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი - 9 443, ქობულეთი - 2 300, ხელვაჩაური - 3 041, ქედა - 491, შუახევი - 404, ხულო - 593, ხოლო განმეორებითი კვლევა ჩაუტარდა 1 298 ბენეფიციარს;

თ) სისხლში ტყვიის მაღალი ექსპოზიციის მქონე ბენეფიციართა საცხოვრებელი გარემოს შესწავლა - სულ ჩატარდა 3 600 ნიმუშის კვლევა, გამოკვლეულია 234 ბენეფიციარის ოჯახი;

ი) მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით ისარგებლა 336-მა ორსულმა, მ.შ. ბათუმი - 122, ხელვაჩაური - 61, ქობულეთი - 65, შუახევი - 18, ქედა - 34, ხულო - 36. ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა - 289;

კ) ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი: 905 ახალშობილს ჩაუტარდა პირველადი სკრინინგული კვლევა და 9 საეჭვო შემთხვევის კონფირმაციული კვლევა;

ლ) სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - 500 ბავშვს ჩაუტარდა კარდიული სკრინინგი, გამოვლენილი პათოლოგია - 16.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,7 %

დასაქმების ხელშეწყობის მხრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს ცხრა ქვეპროგრამას, აქედან „დასაქმების ხელშეწყობის მართვის“ ქვეპროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 8 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 75,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 63,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადებას საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში, იმ უნარების განვითარების მიზნით რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზღვაო სფეროში (საკრუიზო ლაინერებზე) დასაქმების ხელშეწყობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შეირჩა 30 მოსარგებლე, რომლებმაც გაიარეს სწავლება საკრუიზო ლაინერზე მიმტანის და საკრუზიო ლაინერზე ბართენდერის პროფესიულ მიმართულებებში, მათგან 20-მა დაასრულა სრული სასწავლო კურსი, ხოლო 10 გაირიცხა სწავლის პროცესში.

ვინაიდან, მომწოდებელს უნაზღაურდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაო, გარიცხული 10 სტუდენტის თანხის ნაწილი დარჩა აუთვისებელი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,8 %

ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 64,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 61,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი კონსულტანტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 501 სამუშაოს მაძიებლის, 86 კომპანიისა და 548 ვაკანსიის რეგისტრირება; მოხდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 137 ბენეფიციარის დასაქმება; სააგენტოს მიერ შემუშავებული კითხვარის მიხედვით აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ოპერირებადი 24 ორგანიზაციის გამოკითხვა.

სააგენტოს სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა გაიზარდა 587 მომხმარებლით, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი 137-ით. სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის ბაზრის მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა და სააგენტოს სერვისებით ისარგებლა 587 ახალმა მომხმარებელმა: 86 კომპანია და 501 სამუშაოს მაძიებელი.

მომზადდა საიმიჯო და მარკეტინგული მასალები; სატრენინგო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შედეგად გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული: სარეკლამო მომსახურება- ი/მ ზურაბ ჩხაიძე;

სამუშაო შეხვედრებისა და ღონისძიებების ორგანიზება - ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და დებატების ინსტიტუტი. ორგანიზირებულ იქნა 12 სამუშაო შეხვედრა და საზღვაო ბიზნეს ფორუმი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,5 %

ქვეპროგრამის - კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 35,0 თას ლარს, საკასო ხარჯი 35,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და უნარების გაძლიერება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა კომპანიების რეგისტრაცია და რეგიონალური ბაზრის საჭიროებების მოკვლევა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოსარგებლეთა ინტერვიურება და ჯგუფების დაკომპლექტება, ტრენინგების ორგანიზება შემდეგ მიმართულებებში - მომავლის ფორმირება, უსტრესო პროდუქტიულობა, NLP-ტექნიკები ადამიანური რესურსების მართვაში, მევენახეობა. განხორციელდა მასტერკლასის ორგანიზება შემდეგ მიმართულებებში - თანამედროვე კონდიტერია აჭარული ნოტებით, პირველადი სახანძრო და სამედიცინო უსაფრთხოება. სულ ქვეპროგრამაში ჩაერთო და მომსახურება მიიღო 70-მა მოსარგებლემ, გადაეცათ სერთიფიკატები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 32,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 32,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: ქვეპროგრამაში ჩართვის მსურველი შშმ პირთა მობილიზება და ინდივიდუალური შეფასება, შეფასების საფუძველზე კარიერული განვითარების გეგმის შედგენა; კომპანიების საჭიროებებისა და მოთხოვნების მოკვლევა; ქვეპროგრამის ფარგლებში 8 მოსარგებლემ დაასრულა სრული სასწავლო კურსი შემდეგ პროფესიებში: კონდიტერი, ფრჩხილის მომსახურების სპეციალისტი, მასაჟისტ რეალიბილიტატორი, საოფისე საქმე, თეატრალური რეკვიზიტებისა და თოჯინების დამზადება. კურსდამთავრებულთან 5 დასაქმდა, ასევე შეთავაზება დასაქმების თაობაზე მიიღო ორმა მოსარგებლემ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 262,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 257,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: კონკურსის შედეგად შერჩეული 70 მოსარგებლემ დაიწყო პროფესიული მომზადება შემდეგ

პროფესიებში: ბართენდერი, კულინარიის ხელოვნება, სასტუმროს მომსახურება, ელექტროობა, შედუღება, მძიმე ტექნიკის ოპერატორი, მსუბუქი მანქანების ელექტრო შეკეთება, შენობა-ნაგებობის ტექნიკური მართვის სპეციალისტი (ჰაუსმასტერი). მათგან 67-მა დაასრულა სრული სასწავლო კურსი.

სამუშაო გამოცდილების მქონე 20-მა მოსარგებლემ გაიარა გადამზადების კურსი ელექტროობის, შედუღების, ამწის მემანქანის, მძიმე ტექნიკის ოპერატორის, კულინარიის პროფესიულ მიმართულებებში.

სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე 20 პირი ჩაერთო აღიარების პროცესში, მათგან 19-ს უღიარდა არაფორმალური განათლება კულინარიის ხელოვნების, შედუღების, კონდიტერიის და ელექტროობის პროფესიებში; ხოლო ერთმა მოსარგებლემ ვერ შეძლო არაფორმალური განათლების აღიარება.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების 80 მოსარგებლემ გაიარა სწავლება მიმტანის, ადმინისტრატორის, მოლარე-კონსულტანტის, დაცვის თანამშრომლის, დიასახლისის, მზარეულის მიმართულებებში.

მოსარგებლეებმა სწავლების დასრულების შემდეგ მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატი, ხოლო მომზადებულ ბენეფიციართაგან 121 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,2 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 32,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 28,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: კონკურსის გზით შერჩეულმა 50-მა სტუდენტმა გაიარა სწავლება/სტაჟირება შემდეგ მიმართულებებში: მიმტანი, მიღება-განთავსების სპეციალისტი, მზარეულის დამხმარე, ბართენდერის დამხმარე, სარეაბილიტაციო მასაჟი, ბუღალტრული აღრიცხვა, ადამიანური რესურსების მართვა. კურსდამთავრებულთაგან 33 დასაქმდა.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითად გამოწვეულია ელექტრონული ტენდერის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებიდან.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,9 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 22,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 21,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შერჩეულმა 15-მა მოსარგებლემ გაიარა full stack დეველოპერის მომზადების კურსი, 14-მა მათგანმა დაასრულა, კურსდამთავრებულთაგან 8 დასაქმდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,0 %

ქვეპროგრამის - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 35,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 34,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შერჩეული, პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე, 6 მოსარგებლე პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნენ სამუშაო იარაღი/მოწყობილობა/ინვენტარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,6 %

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები 2023 წელს ახორციელებს 15 პროგრამას. აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2023 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, და შემდეგ 2 პროგრამას: აგროსექტორის მდგრადი განვითარების და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოიცავს სამ ქვეპროგრამას.
ქვეპროგრამის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 73,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 73,5 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია აგრარული, ეკონომიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულების სტუდენტების და კურსდამთავრებულების სტაჟირება. ანაზღაურებადი სტაჟირება თავის მხრივ, თითოეულ სტუდენტს თუ დარგის სპეციალისტს გაუჩენს მოტივაციას დაეუფლონ პრაქტიკულ სასოფლო-სამეურნეო, აგროეკონომიკურ საქმიანობებს, ლაბორატორიული კვლევის საფუძვლებს, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის ორგანიზაციულ მიდგომებს, შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობის გავლის შედეგად მოხდება მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

ღონისძიების „სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შერჩევა“ ფარგლებში შერჩეული 20 სტუდენტ-კურსდამთავრებული სტაჟირებას გადიოდა სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, კერძოდ: ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში - 8 სტაჟიორი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში - 2 სტაჟიორი, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოში - 5 სტაჟიორი, სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში - 3 სტაჟიორი, აქედან 2-მა სტუდენტ-კურსდამთავრებულმა, საკუთარი განცხადების საფუძველზე შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება.

ღონისძიების „აგრარული, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკური მიმართულების სტუდენტ - კურსდამთავრებულთა აგროტური ქვეყნის შიგნით“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად განხორციელდა აგროტური ქვეყნის შიგნით -

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის“ ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ / სადემონსტრაციო მეურნეობაში, ცენტრის წილკნის ლაბორატორიულ ბაზებზე (ინ-ვიტრო და პროფესორ ი.სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია) და კერძო მეურნეობაში („Organic Fruit“-ის ჩირის მწარმოებელ საწარმო).

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

ქვეპროგრამის - ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია, საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 27,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 27,8 ათას ლარს.
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშემშლელი მრავალი ფაქტორიდან ერთ-ერთს სწორედ წარმოებული პროდუქციის სუსტი კონკურენტუნარიანობა, ცნობადობა და სარეალიზაციო ბაზრების ნაკლები დივერსიფიცირება წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთ გზას, ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია-საექსპორტო და საინვესტიციო პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ღონისძიების „აგრარული ფორუმი (არანაკლებ 1)“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ჩატარდა აგრარული ფორუმი - აჭარის აგრარული შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ აგრარულ სექტორში მოქმედი საწარმოები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, აგრარული თემატიკის ასოციაციები, გაერთიანებები და აჭარის აგრარული შესაძლებლობებით დაინტერესებული სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 27,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - აგრარული ექსტენციის მიწოდება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 179,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 177,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

რეგიონის ფერმერებისა და აგრომეწარმეებისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე და მასალებზე ორიენტირებული ინტენსიური ექსტენციის მომსახურების მიწოდების მიზნით გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნა მაღალკვალიფიციური 8 სპეციალისტი. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტში 8 სპეციალისტის მიერ მიწოდებულია ექსტენცია - 4 260 ფერმერსა და აგრომეწარმეზე ექსტენციის ფაზების შესაბამისად მემცენარეობაში, მეცხოველეობაში - ინდივიდუალურად, ჯგუფურად და ინტერნეტ ექსტენციის სახით. საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 159,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „საჭირო აღჭურვილობის/ხელსაწყოების შეძენა“ ფარგლებში ექსტენციონისტების აღჭურვის მიზნით მოწოდებულია სხვადასხვა ინვენტარი, კერძოდ:

39 ერთეული სხვადასხვა სახის ვეტერინარული სამედიცინო ინსტრუმენტი; 12 ერთეული სეკატორი (180 მმ); 5 ერთეული საჭრელი მაკრატელი (660-860 მმ); 13 ერთეული ბაღის ხერხი; სამეურნეო დანიშნულების საგნები და მასალები (ციფრული ლუქსომეტრი - 5 ცალი; ჰიდრომეტრი - 7 ცალი; ციფრული თერმომეტრი - 5 ცალი; ტენსიომეტრი - 5 ცალი); 18 ერთეული ხელჩანთა; 19 წყვილი სპეცფეხსაცმელი. საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 12,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „ექსტენციაში ჩართული ქალ ფერმერთა/აგრომეწარმეთა აგროტური" ფარგლებში განხორციელდა: I აგროტური - სამეგრელო, ქალაქ ზუგდიდი, თხილის საწარმო შპს „ფერერო"; იმერეთი, წყალტუბო, სასათბურე მეურნეობა - შპს „ჰერბიას"; II აგროტური - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფელ ჯიღაურას საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა; ჩაის დამფასოებელი საწარმო - შპს „მანნა". საკასო ხარჯმა შეადგინა 5,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,3 %

პროგრამის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 581,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 567,6 ათას ლარს.

ღონისძიება „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა" ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების მიერ შემუშავებული პროექტების თანადაფინანსებას (სუბსიდირებას). შემუშავებული და დამტკიცებული გეგმა- გრაფიკის შესაბამისად, განხორციელდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები რეგიონის მოსახლეობასთან, შემოსულია სულ 1 892 განაცხადი. საანგარიშო პერიოდში მიღებული და ღონისძიების განხორციელების წესით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად შერჩეული და დამტკიცებული 1 502 ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადებიდან განხორციელდა ბენეფიციარების მიერ შესყიდული საქონლის თანადაფინანსება - 1 691,6 ათას ლარზე.

ღონისძიების „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში მიმდინარეობს ა(ა)იპ "აგროსერვის ცენტრის" 2022 წლის პროგრამის ფარგლებში შერჩეულ 7 ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების მართვა, აქედან 6 ბენეფიციართან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, ბენეფიციარების მიერ ვალდებულების შესრულების გათვალისწინებით განხორციელდა თანადაფინანსება 595,3 ათას ლარზე, ხოლო 1 პროექტის თანადაფინანსება არ განხორციელებულა თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (12 ადამიანი)" ფარგლებში გაფორმდა 12 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 280,7 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ 2023 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - აგროსერვისის განვითარება რეგიონში მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვას, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შემდეგ სამ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 311,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 302,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (5 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 4 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 73,0 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 11,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „მეფუტკრე ფერმერების/აგრომეწარმეებისთვის დადან-ბლანტის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტის თანადაფინანსება“ ფარგლებში 2023 წლის 21 მარტს გაფორმებული ხელშეკრულება ვალდებულებების შეუსრულების გამო გამარჯვებული კომპანიის განცხადების საფუძველზე შეწყდა. 2023 წლის 20 ივნისს გამოცხადდა განმეორებითი ტენდერი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 11 ივლისს, გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 201,0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად მოწოდებულია 1 160 ცალი დადან-ბლანტის ტიპის სკები, საკასო ხარჯმა შეადგინა 201,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის ბიო სერთიფიცირების სუბსიდირება“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ჯარას მეფუტკრეთა სერთიფიცირება (1 სერთიფიკატი), საკასო ხარჯმა შეადგინა 17,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,2 %

ქვეპროგრამის - აგრო-მომსახურების განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 307,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 300,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:
ღონისძიების „შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების (6 ადამიანი)“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 5 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 84,5 ათასი ლარი, ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 81,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული - 2 136 ფართობის სახნავ-სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება. კერძოდ, ქობულეთის, ქ. ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში არსებული - 1372 ფართობის სახნავ-სათესი ნაკვეთები, მათ შორის - 1372 ფართობის დახვნა (მათ შორის 1270 ჰა ფართობის დადისკვა, 1372 ჰა ფართობის დაფარცხვა), ხოლო ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში

არსებული - 764 ჰა ფართობის სახნავ-სათესი ნაკვეთები, მათ შორის - (433 ჰა ფართობის დახვნა, მათ შორის 35 ჰა ფართობი დაფარცხა და 67 ჰა ფართობის დაფრეზვა) 331 ჰა ფართობის დაფრეზა“ ფარგლებში განხორციელდა ფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული 2 136 ჰა სახნავ-სათესი ფართობების უსასყიდლოდ დამუშავება, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 134,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,4 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 366,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 296,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით შეძენილი იქნა 45 კგ ცვილი ვაზის მყნობისათვის, ტორფის სუბსტრატი 360 შეკვრა, ნაკელი 100 ტონა, მოსაკირიანებელი საშუალება (დეფეკაციური ტალახი) 100 ტონა, ასევე საჩითილე მეურნეობისთვის შეძენილია 200 000 ცალი ბოსტნეულის თესლი, ციტრუსის და ვაზის ნერგების წარმოებისათვის შეძენილია ჯამში 18 000 ცალი ქოთანი, სანერგე და საჩითილე მეურნეობებისათვის შესყიდულია ბიოპრეპარატები, პესტიციდები და აგროქიმიკატები.

ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში წარმოებულია ციტრუსის ერთწლიანი 7 500 ცალი ნერგი და ციტრუსის 20 000 ცალი ახალი ნამყენი. ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში წარმოებულია ერთწლიანი სხვადასხვა სახის ხეხილის 2810 ნერგი, კენკროვნების 2000 ცალი ნერგი, 7 000 ცალი ვაზის მწვანე ნერგი და ხეხილის 6 000 ცალი ახალი ნამყენი, მიღებულია ციტრუსის 18 000 კგ მოსავალი, ყურძნის 7 500 კგ მოსავალი და ხეხილის 2000 კგ მოსავალი.

ღონისძიების „ნერგების წარმოება“ ფარგლებში შესყიდული იქნა ტყემლის საძირე 2500 ცალი, მსხლის საძირე 1 000 ცალი, ვაშლის საძირე 1 500 ცალი, ბლის საძირე 1 500 ცალი. საჩითილე მეურნეობაში საანგარიშო პერიოდში წარმოებულია 222 500 ცალი ბოსტნეულის ჩითილი.

ჩაქვის ციტრუსოვანთა, შუახევის ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობებში ჩატარებულ იქნა ლაბორატორიული კვლევები.

ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობაში მოწყობილია სათბურ იზოლატორი და სადედე მცენარეების გასაადგილებლად შესყიდულია 188 ცალი 290 ლიტრი ტევადობის ქოთანი.

სანერგე (ციტრუსის, ვაზის, ხეხილის) და საჩითილე მეურნეობებში გატარებულია შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებები.

მეურნეობების ფუნქციონირებისათვის გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 68 შრომითი ხელშეკრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,9 %

პროგრამა - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას **„ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“**, რომლის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 909,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 909,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში 2022-2023 წწ-ს გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,20 ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,15 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 410,2 ტონა სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 61,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2023-2024 წწ-ს გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,30 ლარად შესყიდულ არასტანდარტულ მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,25 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 390,0 ტონა სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 1 847,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100 %

პროგრამის - მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 208,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 202,2 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება, საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებით ხელოვნური განაყოფიერების გზით რეგიონში განაყოფიერებული იქნა 3 700 სული პირუტყვი, საკასო ხარჯმა შეადგინა – 135,1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ოთხი შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 67,1 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 96,8 %

პროგრამის - სამელიორაციო სისტემების მართვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 197,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 130,8 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (15 კაცი)“ ფარგლებში გაფორმებულია 12 შრომითი ხელშეკრულება, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 180,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროგრამის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში შეძენილი იქნა სხვადასხვა დასახელების ინვენტარი და საქონელი და მომსახურება, კერძოდ: გენერატორი შედუღების აპარატის ფუნქციით, არხების რეგისტრაცია რეესტრში, სამეურნეო იარაღები, ასევე შესყიდული იქნა მაღალი გამავლობის ავტომანქანა, საკასო ხარჯმა შეადგინა 108,9 ათასი ლარი.

ღონისძიების „ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება“ ფარგლებში განხორციელდა ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობა, თანხით 30,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება“ ფარგლებში მომზადებულია 10 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, საკასო ხარჯმა შეადგინა 34,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ საზღვრებში სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია/მოვლა შენახვა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა 15 სარწყავ და დამშრობ არხს, ასევე გაწეულია ხარჯი სარწყავი და დამშრობი არხების მოვლა-შენახვაზე, საკასო ხარჯმა შეადგინა 776,1 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 94,4 %

პროგრამის - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 162,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 157,7 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ადმინისტრირების“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა ერთი შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯი, სულ თანხით 12,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დადგენილი წესით ფერმერების მიერ სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის სუბსიდირების საკასო ხარჯმა შეადგინა 145,6 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 96,9 %

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ახორციელებს ერთ პროგრამას - „ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის

სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ 2023 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას, აქედან სამს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციულ მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, გარემოსდაცვითი პროგრამას და პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების პროგრამას. ხოლო სამ პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“: ტყის დაცვა და მოვლა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები.

გარემოსდაცვითი პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 43,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 43,8 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სსიპ „ლაბორატორიული კვლევით ცენტრ“-თან ჩამდინარე წყლის (105 სინჯი ღირებულებით 7,3 ათასი ლარი), ზედაპირული წყლის (105 სინჯი ღირებულებით 9,7 ათასი ლარი) და ატმოსფერული ჰაერის (123 სინჯი ღირებულებით 26,8 ათასი ლარი) შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე;
2. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 105 ჩამდინარე, 105 ზედაპირული წყლების და 123 ატმოსფერული ჰაერის სინჯის ანალიზი, საკასო ხარჯმა შეადგინა 43,8 ათასი ლარი.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 9 ფაქტი. ჩამდინარე წყალში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100 %

ქვეპროგრამის - აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 44,1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 43,9 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრ“-თან ზღვის წყლის შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების (98 სინჯი) მომსახურების შესყიდვაზე ღირებულებით 43,9 ათასი ლარი;

2. განხორციელდა 98 ზღვის წყლის სინჯის ანალიზის გამოკვლევა, ღირებულებით 43,9 ათასი ლარი.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გარემოსდაცვითი დარღვევები არ გამოვლენილა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,5 %

პროგრამის - პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 862,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 862,4 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების განხორციელება (დროებითი გზებისა და რეცხვადი ბერმის მოწყობა)“ ფარგლებში განხორციელდა მდინარე ჭოროხის კალაპოტში არსებული წინასწარ შერჩეული კარიერებიდან 412 960 კბ.მ. პლაჟწარმომქმნელი ნატანის ტრანსპორტირება და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე შესაბამის უბნებში რეცხვადი ბერმის მოწყობა, კერძოდ: ქ. ბათუმში ბათუმის გამწმენდი ნაგებობის მოპირდაპირედ, ასევე, აეროპორტის ასაფრენი ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე შავი ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვების სამუშაოები. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 4 743,2 ათას ლარს, ასევე საანგარიშო პერიოდში პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობაზე გაწეულია 119,2 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ ახორციელებს სამ პროგრამას.

პროგრამის - ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 440,2 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 406,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „დეგრადირებული ტყეების ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობა“ ფარგლებში განხორციელდა ტყის დეგრადირებული ფართობების შემოღობვითი (100 ჰა) და ნიადაგის აჩიჩქვნის სამუშაოები, დაავადებული ტყის ფართობზე განთავსებული იქნა 3100 ცალი მწერსაჭერი ხაფანგი და ფერომონი, განხორციელდა დაავადებული ტყის ფართობზე ფერომონის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 406,5 ათასი ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,3 %

ქვეპროგრამის – სანიტარული ჭრა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 437,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 437,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ტყის დაავადებულ უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება“ ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე ორ ნაწილად

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით: 1. 3000 კბ.მ. სანიტარულ ჭრაზე, ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე სანიტარული ჭრა განხორციელდა 3000 კბ.მ. სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე (ხულო, შუახევი, ქედა); 2. 1000 კბ.მ. სანიტარულ ჭრაზე, ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე სანიტარული ჭრა განხორციელდა სრულად სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქობულეთის სატყეო ადმინისტრაციის ტყის ტერიტორიაზე, საკასო ხარჯმა შეადგინა 437,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ფარგლებში ხორციელდება ერთი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 10,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სატყეო სექტორთან დაკავშირებული რვა ღონისძიება (3 ქობულეთის, 3 ხელვაჩაურის, 1 შუახევის და 1 ხულოს მუნიციპალიტეტებში), შეძენილია ბუკლეტები და მომზადებულია ერთი სატელევიზიო ვიდეორგოლი. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამა - ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.

ქვეპროგრამის „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 188,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 168,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 36 140 მეტრი ახალი გზის მშენებლობა და 180 800 მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 907,0 ათასი ლარი.

შეძენილია მეტყევის სახლის (ხის კოტეჯი) მშენებლობის პროექტი, ღირებულებით 3,5 ათასი ლარი, განხორციელდა მეტყევის სახლის (ხის კოტეჯი) მშენებლობა, რომლის საკასო ხარჯმა შეადგინა 40,9 ათასი ლარი, აბონენტის დარეგისტრირება მიზნით გადახდილია 0,4 ათასი ლარი.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაუფრომდათ 15 ტექნიკურ მუშაკს, რომელთა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 216,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,4 %